





იმისთანა წმინდა საძმომი,
ბოგობიტი ბეჭდუბი სიფყავა,
ცუქილებით და ჭაბუბით ბუბთის
გაფანა ყველა უკადრისბაზე
უსაბაგლესია.

წმინდა



დაარსებულია
1918 წელს.



პარასკევი,

26

დეკემბერი, 2014 წელი.

№261 (7642)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



მამუკა
არაშიძე:

ტერიტორიული
მოქმედება თუ
პროპაგანდული
განხილვა?

ამ ორიდან რომელი
უნდა დაინახოს
ორიანობიდან
საქართველო?

6

მთავრობას
პროპაგანდული
განხილვის
ფასი

3

1,5 ლარამდე
უზარუნებლად

ეს ერთი კვირას
გადა და, პენსიონ...

განხილვა ანუ: **საგარეო**
რეკლამა მისი დამკვეთის
ინტერესებსაც აზიანებს

7

„განხილვა, რომელიც ნათქვამი მოქმედების დროს მიიღეს,
ორივე გვერდზე განხილვად შედგენილი პირდაპირი ჩანაწერი.“

ვისი

5

კომპანიაში
იმარჯვებენ
განდერბენ?



3

ქალბატონო
გუგული,
დაპირა პირი!

9



ორი
ბუღალტერი



37 წლის მანძილზე ჩვენში სასო-
ნარკვეთილება არასდროს არ ყოფილა

ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გუშინ სვეტიცხოველში ქადაგებისას განაცხადა.

წირვის დასრულების შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ტაძარში შეკრებილებს ტრადიციული ქადაგებით მიმართა. უწმინდესის ქადაგებამდე შეკრებილებს ამა ალავერდელმა, მიტროპოლიტმა დავითმა მიმართა. მან მადლობა შეწირა უფალს პატრიარქის კურთხევისათვის და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ცხოვრების დეტალები გაიხსენა. მიტროპოლიტმა პატრიარქის მოღვაწეობას მზიანი ღამე უწოდა.

„ჩვენ ამ ღამეში დიდმა და პატარამ ერთად ვიარეთ და მზიან ნათელში მიგვიყვანა“, — აღნიშნა მიტროპოლიტმა დავითმა.

ტაძარში შეკრებილებს კათოლიკოს-პატრიარქმა მიმართა და ქადაგება სიტყვების — „ჩვენთან არს ღმერთი“ — განმარტებით დაიწყო.

„ეს სიტყვები წერია ბიბლიაში და მოსვლისთანავე, 1977 წლის 25 დეკემბერს, მე ვგრძნობდი, რომ ჩვენთან არს ღმერთი. მე ვგრძნობდი, ვხედავდი იმ გაჭირვებას, რომელშიდაც იყო საქართველო და ჩვენი ეკლესია. ამავე დროს, მე ვხედავდი, რომ ჩვენ ძალიან ახლოს ვიყავით ღმერთთან და ღმერთი იყო ჩვენთან ახლოს. ამიტომ ამ 37 წლის მანძილზე არასდროს სასო-ნარკვეთილება არ ყოფილა ჩემში. მე ვხედავდი ღვთის წყალობას, იმ მადლს, რომელიც მოეფინება და, რო-

მელიც ეფინება საქართველოს. ბიბლიაში წერია, ვინც ღმერთს უყვარს, იმას უგზავნის განსაცდელს, წმინდა მამები როდესაც ცხოვრობდნენ უდაბნოში და განსაცდელში არ იყვნენ, წუხდნენ, ღმერთმა დაგვიგვიწყაო. ღმერთმა არ დაგვიგვიწყაო და არასდროს არ დაგვიგვიწყებს იმიტომ, რომ „ღმერთი ხედავს გულსა კაცისას“, ქართველი ადამიანი დაჯილდოებულია მოწყალე და მოსიყვარულე ღვთით“, — აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქმა წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სიტყვები მოიშველია და განაცხადა: ღმერთი არის სიყვარული. უწმინდესის თქმით, უფალმა ქართველებს სიყვარულის ნიჭი, მადლი უბოძა.

„ეს სიყვარული და ძალა ღვთისა მუდამ დაიფარავს საქართველოს ხილული და უხილავი მტრებისაგან. 37 წელი მძიმე იყო, იყო მზიანი ღამე, მაგრამ იმედს, მზეს ვხედავდი, მადლობა უფალს ამ იმედისათვის. წყალობა ღვთისა, მადლი ღვთისა ყოველთვის გვფარავს“, — აღნიშნა უწმინდესმა.

სვეტიცხოველში გუშინ წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის და პატრიარქის აღსაყდრების 37 წელთან დაკავშირებით საღმრთადად განსაცდელში სიმტკიცის, ერთობისა და თანადგომის ძალას, გვინერგავს მომავლის იმედსა და რწმენას, შთაგვაგონებს, საკუთარ თავში მოვიძიოთ შინაგანი სიმშვიდე, პიროვნული სრულქმნისათვის შრომის მზაობა, ქვეყნისათვის მსახურების ენერგია.

ორიენტირები, რომლისკენაც თქვენ მიგვიძღვებით, უნივერსალურია და არ ცნობს ეთნიკურ, კონფესიურ და სხვა განსხვავებებს. ამიტომაც არის თქვენი ღვანძლი საქართველოს თითოეული მოქალაქის საკუთრება. ვუსურვებ მათ, რომ კვლავაც დიდხანს გეგყრათ ხელთ ჩვენი სულიერი ცხოვრების საქმე.

ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა შესაძლებლობა, ცხოვრების ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო მომენტებში პირადად თქვენგან მივიღო რჩევა და სულიერი შემწეობა.

გისურვებთ დღეგრძელ და ჯანმრთელ ცხოვრებას, უშრეტ ენერგიას ერის სულიერი წინამძღოლობისათვის“, — აღნიშნულია მილოცვის ტექსტში.

პრეზიდენტმა პატრიარქს აღსაყდრების დღე მიულოცა

საპარტოვალს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს, ილია მეორეს აღსაყდრებიდან 37-ე წლისთავს ულოცავს.

„თქვენო უწმინდესობა, გულთადად გილოცავთ აღსაყდრებიდან 37 წლისთავს. უკვე არაერთი ათწლეულია, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ და მნიშვნელოვან ეპოქაში, თქვენი სულიერი ღვანძლი, სიყვარულისა და შორსმჭვრეტელობის მაგალითები გვაძლევს განსაცდელში სიმტკიცის, ერთობისა და თანადგომის ძალას, გვინერგავს მომავლის იმედსა და რწმენას, შთაგვაგონებს, საკუთარ თავში მოვიძიოთ შინაგანი სიმშვიდე, პიროვნული სრულქმნისათვის შრომის მზაობა, ქვეყნისათვის მსახურების ენერგია.

ორიენტირები, რომლისკენაც თქვენ მიგვიძღვებით, უნივერსალურია და არ ცნობს ეთნიკურ, კონფესიურ და სხვა განსხვავებებს. ამიტომაც არის თქვენი ღვანძლი საქართველოს თითოეული მოქალაქის საკუთრება. ვუსურვებ მათ, რომ კვლავაც დიდხანს გეგყრათ ხელთ ჩვენი სულიერი ცხოვრების საქმე.

ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა შესაძლებლობა, ცხოვრების ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო მომენტებში პირადად თქვენგან მივიღო რჩევა და სულიერი შემწეობა.

გისურვებთ დღეგრძელ და ჯანმრთელ ცხოვრებას, უშრეტ ენერგიას ერის სულიერი წინამძღოლობისათვის“, — აღნიშნულია მილოცვის ტექსტში.

ჩვენ პირთ ბუნდობი პირი, რომ გვყავს
ისეთი წინამძღვარი, რომლის პატრიარქია

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში განაცხადა, სადაც მან პატრიარქს, მთავრობისა და მხედრობის სახელით, აღსაყდრებიდან 37 წლის იუბილე მიულოცა.

„მინდა, მთელი გულით და სულით, დიდი სიყვარულით მოგილოცოთ აღსაყდრებიდან 37 წლის იუბილე. ეს დღე ჩვენთვის არის ძალიან ძვირფასი. ქართველმა ხალხმა ამ 37 წლის განმავლობაში ურთულესი განსაცდელი გა-მოიარა და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენ ყოველთვის ასოცირდებით ჩვენი ხალხის იმედთან და წუგეშთან. თქვენ ყოველთვის დგახართ და იდგებით ქართვე-

ლი ერის გვერდით. ჩვენ ვართ ბედნიერი ერი, რომ გვყავს ასეთი წინამძღვარი, როგორიც პატრიარქია. მე მახარებს, რომ თქვენ ყველას გვაძლევთ კაცთმოყვარეობის, მიტევების, სიყვარულისა და პატრიოტიზმის მაგალითს. მთავრობის და მხედრობის სახელით მინდა, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ დღევანდელი დღე. გისურვებთ მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს. მჯერა, თქვენთან ერთად ჩვენი ქვეყანა აუცილებლად გამთლიანდება“, — მიმართა პრემიერ-მინისტრმა პატრიარქს.

მთავრობის მეთაურის თქმით, ჩვენი ერი აუცილებლად მიხვდება, თუ რაოდენ დიდია უწმინდესის ღვანძლი ქრისტიანობის განმტკიცების საქმეში“.

პრეზიდენტი ბრეზინსკი კალენდრით მოქმედი კონსტიტუციის ნარკომაგბელებს უოგას ულოცავს

„ბუღალტრულად გილოცავთ შობის ბრეზინსკი დღესასწაულს ყველას, ვინც დღეს ზეიმობთ ამ შესანიშნავ დღეს. ამ უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს ჩვენ ვუკავშირებით განახლებისა და ნათელი მომავლის რწმენას. დაე, სიყვარული, კეთილდღეობა, მშვიდობა და ბედნიერება მოეტანოს ამ დღეს თქვენს ოჯახებსა და ჩვენს სამშობლოში“, — ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაში.



ულოცავ ყველა ჩვენს თანამოქალაქს, პოსტისას 25 დეკემბერი შობის დიდი დღესასწაულია



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შობას ულოცავს ქრისტიანებს, რომლებიც ამ დღეს 25 დეკემბერს აღნიშნავენ.

„დღეს ქრისტიანთა უდიდესი ნაწილი მაცხოვრის შობის დღესასწაულს აღნიშნავს. ულოცავთ ამ დღეს ყველა ჩვენს თანამოქალაქს, ვისთვისაც 25 დეკემბერი შობის დიდი დღესასწაულია. ყოველი შობა უკეთესი მომავლის იმედი და რწმენაა. ვუსურვებ ყველას, არ მოჰყვებოდეთ სიკეთე, სიყვარული, მშვიდობა და კეთილდღეობა“, — ნათქვამია პრემიერ-მინისტრის განცხადებაში.

მთავრობის წარმომადგენლები თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე მდებარე კათოლიკურ ეკლესიაში სამშობლო ღვთისმსახურებას დაესწრნენ.

კათოლიკე თანამემამულეებს შობის დღესასწაული თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარაიშვილმა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარამ მიულოცეს.

თავდაცვა — საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები და პარლამენტარები

რომორც თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამდებობის პირების ადვოკატებმა განაცხადეს, ალკვეთის ღონისძიების შეცვლის მოთხოვნით შუამდგომლობას სასამართლოში უახლოეს პერიოდში წარადგენენ. დაკავებულებს თავდებში 37 პირი უდგება. დეპუტატებს შორის არიან როგორც „თავისუფალი დემოკრატები“, ასევე „რესპუბლიკელების“ და „ეროვნული ფორუმის“ წევრები.

დაკავებულებს თავდებში უდგებიან: ელდარ შენგელაია, ვახტანგ კახიძე, ჯემალ სეფიაშვილი, ზურაბ აბაშიძე, ანი მიროტაძე, შალვა კიკნაველიძე, ვიქტორ დოლიძე, ირაკლი ჩიქოვანი, თამაზ შიოშვილი, თემურ მაისურაძე, მალხაზ ვახტანგაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, ნოდარ ებანოიძე, თინა ხიდაშელი, დავით ბერძენიშვილი, გიგლა აგულაშვილი, დავით ონოფრიშვილი, გია ცაგარეიშვილი, ნინო გოგუაძე, შალვა შავგულაძე.

ბრალდებულთა მიმართ პატიმრობის არასაპა-

ტიმრო აღკვეთი ღონისძიებით შეცვლის თაობაზე განცხადებას ხელს აწერენ: რატი ამალაშვილი, დავით მალრაძე, გიორგი ხოშტარია, ნიკოლოზ რაჭველი, ლიზა ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე, კოტე ჯანდიერი, გია ყარყარაშვილი, თემურ ნაწაშვილი, მამუკა მიქელაძე, რომან შაქარიშვილი, ლალი ჩიკვაძე, ნანა შონია, ბასა და თამარ ფოცხიშვილები, მიხეილ ყაველაშვილი და თამაზ ჯოლოგუა.

კანონით გათვალისწინებული პროცედურების შემდეგ, დაკავებულთა გათავისუფლების შუამდგომლობით ადვოკატები სასამართლოს უახლოეს პერიოდში მიმართავენ და იმედოვნებენ, რომ მათი შუამდგომლობა დაკმაყოფილდება.

მთავარმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები 28 ოქტომბერს დააკავა. უწყების ინფორმაციით, მათ ბრალად სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვა ედებათ.

პრეზენტაცია — უმინისტროდ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ორწლიანი საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაცია სასტუმრო „პოლიდეი ინ-ში“ მინისტრ დავით შავლიაშვილის გარეშე წარმართა. ანგარიშში საზოგადოებას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი ამაშუკელმა გააცნო.

რაც შეეხება დავით შავლიაშვილს, ამაშუკელის თქმით, მან ღონისძიებაზე დასწრება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ მოახერხა.

როგორც ამაშუკელმა ანგარიშის პრეზენტაციაზე აღნიშნა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ წელს ყველაზე მეტი, დაახლოებით 890 მილიონი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები განახორციელა.

ცივლა. კერძოდ, აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემას, სარწყავ არხებს, ტურისტულ, კულტურულ ძეგლებს, მონესრიგდა ნაგავსაყრელები, განხორციელდა სტიქიის შედეგების სწრაფი ლიკვიდაცია და მასშტაბური ნაპირსამაგრი სამუშაოები. აშენდა იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი კორპუსები, ქვეყნის მასშტაბით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ადაპტირებული 82 ამბულატორია და მონტაჟდა.

ამაშუკელის ინფორმაციით, 2013-14 წლებში გაიხსნა ავტომობილის 55 კილომეტრი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 554 კილომეტრ გზასა და 87 ხიდს. ასევე აშენდა 18 ახალი ხიდი, დაიწყო წყალმომარაგების ახალი პროექტების განხორციელება, რო-



მელთა დასრულების შემდეგ, 300 ათასზე მეტი ადამიანი 24-საათიანი წყალმომარაგებით სარგებლობს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ორწლიანი ანგარიშის თანახმად, მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ტურისტული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებითაც, გააქტიურდა სამუშაოები თეთნულდის სათხილამურო კურორტზე, დაიწყო ჭიათურის ერთ-ერთი მთავარი სატრანსპორტო საშუალების, საბაგირო გზების რეკონსტრუქციარეაბილიტაციის პროექტირება.

ამასთან, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში 14 ათასზე მეტი საშუალო და მცირე ზომის ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

© ვითარება

სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი?

რუსეთის კრიზისი და მისი გავლენა მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე

წლეულს რუსული რუბლი თითქმის 60 პროცენტით გაუფასურდა. 1998 წლის შემდეგ ეს ყველაზე დიდი გაუფასურებაა რუბლის ისტორიაში. რუსეთის ეროვნულმა ბანკმა 2 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების რეზერვი გამოიყენა სავალუტო ბაზარზე რუბლის შესაძენად. შესაბამისად, გაძვირდა რუსეთის სახელმწიფო ვალიც, რომლის 80 პროცენტიც დოლარშია დენომინირებული და 60 მილიარდი აშშ დოლარს უტოლდება. ვალის მომსახურების პროცენტი 8 პროცენტამდე გაიზარდა. იმ შემთხვევაში, თუ ნავთობის მსოფლიო ფასი დარჩება ბარელზე 60 დოლარის ოდენობით, რუსეთის ცენტრალური ბანკის პროგნოზით, ქვეყნის მშპ 4,7 პროცენტით შემცირდება. ცნობისთვის: ნავთობპროდუქტებიდან მიღებული შემოსავლები ქვეყნის ფედერალური ბიუჯეტის ნახევარზე მეტი და მთლიანი ექსპორტის ორ მე-სამედია.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის მსოფლიოს მეექვსე ეკონომიკაა და მსოფლიოში ნავთობისა და გაზის უმსხვილესი ექსპორტიორია, მიმდინარე მოვლენები გავლენას მოახდენს მსოფლიო ეკონომიკაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდი შიშობს, რომ რუსეთში მიმდინარე მოვლენები, კერძოდ, ღრმა რეცესია და კონტროლდაკარგული ინფლაცია, შესაძლოა, მსოფლიოს ახალი ეკონომიკური კრიზისის დასაწყისი იყოს. ინფლაციის მაჩვენებელი დაახლოებით 9,1 პროცენტია, წინა წელთან შედარებით, ხოლო მაღაზიებში ფასები ყოველდღიურად იცვლება. თუ გავითვალისწინებთ რუბლის გაუფასურებას, ამ ეფექტის გასანეიტრალებლად, ფასები დაახლოებით 50 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მომუშავეთა მიერ მიღებული ხელფასის მსყიდველუნარიანობას დღითი დღე კარგავს.

რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის? ყველაზე მეტად მიმდინარე კრიზისი საქართველოს ფულადი გზავნილების არხით შეეხება. მოგეხსენებათ, რუსეთი ფულადი

გზავნილების გამომგზავნ ქვეყნებში უპირობო ლიდერია და ამ ქვეყნიდან საქართველოში 2013 წელს მილიარდ ნახევარ დოლარამდეა შემოსული, რაც საქართველოს მშპ-ს 10 პროცენტია. შარშან ყოველთვიურმა საშუალო ჩარიცხვებმა 123 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ნოემბრის მდგომარეობით, წინა წლის ნოემბერთან შედარებით, გზავნილების ნაკადი 20 პროცენტით არის შემცირებული და 104,2 მლნ აშშ დოლარს აღწევს. ფულადი გზავნილები საქართველოსთვის საერთაშორისო ვალუტის მნიშვნელოვანი წყაროა და მრავალი ოჯახისთვის შემოსავლის წყაროა. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთში მცხოვრებ ქართველებს მიმდინარე პროცესების გამო განკარგადი შემოსავალი შეუმცირდებათ, ამ ქვეყნიდან უნდა ველო-



დოთ გზავნილების მნიშვნელოვან შემცირებას. ამას ისიც ემატება, რომ რუსულ ბანკებში უცხოური ვალუტის გაცემაზე უკვე დაწყებულია გარკვეული შეზღუდვები. კერძოდ,

„სბერბანკში“ შესაძლებელია მხოლოდ ორი ათასი დოლარის ყიდვა, ისიც თუ დილით ადრე მიუსწრებს მომხმარებელი.

რუსეთში მიმდინარე მოვლენები საქართველოზე გავლენას ექსპორტის მიმართულებითაც იქონიებს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საქართველოს მთლიან ექსპორტში მხოლოდ 10 პროცენტს იკავებს, თანხობრივად ეს 242.5 მლნ აშშ დოლარია და განსაკუთრებით დაზარალებულს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სასურსათის ექსპორტიორებს. ექსპორტიორებისთვის რეკომენდებულია საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია და ნაკლებად დამოკიდებულება რუსეთის არასტაბილურ ბაზარზე. რაც შეეხება ფულად გზავნილებს, ამ მიმართულებით ალტერნატიული ბაზრების მოძიება, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო რთული იქნება.

ნინო ეზვანიძე რადიო „თავისუფლება“



სიტყვა უნდა აიწონოს!

ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე კიდევ გახდებოდა საჭირო გამოყენება თამაზ წიგნივადის ამ ეპოქალური ფრაზისა („გრიშა ბიძია, დეპოში ვართ!“), რომელმაც ზუსტი დიაგნოზის, უფრო მეტიც, საბედისწერო განაჩენის როლი შეასრულა ცვალებად მოვლენებში გაურკვეველი თუ იდეოლოგიურად დაბრმავებული პერსონების მიმართ.

ნამდვილად არ მეგონა, რომ კიდევ იარსებებდა ჩვენი ინტელიგენციის წრეში ისეთი ადამიანი, რომელსაც, თუ ნაგრძნობი არა, დანახული მაინც არ ექნებოდა მთელი ის უბედურება, რაც გასულ ათწლეულში მეცნიერებასა და განათლებას დაატყდა თავს (მეცნიერებას შეგნებულად ვაყენებ განათლების წინ, რადგან ისინი რეალურად მხოლოდ ამ თანამიმდევრობით არსებობენ)! მაგრამ ნამდვილად უსაზღვრო ტრანსფორმირების უნარი აღმოაჩნდა იმ წყევული ეპოქის მემკვიდრეობას, ადამიანურსაც და მენტალურსაც – ხან ენჯეოს სამოხიოთ რომ მოგვევლინება, ხანაც – დემოკრატიისა თუ პარლამენტარიზმის...

მიჭირს ამის თქმა, მაგრამ სრულ სასონარკვეთილებაში ჩამადგო ქალბატონი გუგულის (მალრადის) – ამ გამოჯეკილი პოლიტიკოსის, მრავალგზის პარლამენტარის, ცნობილი ფსიქოლოგისა და ჩვენი საზოგადოების ფსიქოლოგიური მდგომარეობის ერთ-ერთი შემოქმედის ბოლოდროინდელმა უკიდურესად გულახდილმა ინტერვიუებმა.

მართალი ვთქვა, ამ ათიოდე წლის წინათ სულაც არ გამკვირვებია ის, რომ ქალბატონი გუგულის ჩვეული ენთუზიაზმით გაერთიანდა დედაუნივერსიტეტის ე. წ. რეფორმის განმახორციელებელთა რიგებში და ვერ (თუ არ) დანახა, რომ ეროვნული უნივერსიტეტის საფუძვლები იშლებოდა – მაშინ ხომ მოვლენათა ფორსირება იყო ახალ ტალღაზე კარიერის

ქალბატონო გუგული, დაპოუი პარტი!



გაკეთების სურვილმა არაერთ კოლეგას დაუბინდა თვალსაწიერი... მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ, არათუ უნივერსიტეტის დანგრევა, მის მაღალ ყურთასმენამდე ისიც კი არ მისულა, რომ, აგერ უკვე ცხრა წელი გახდება, რაც მიზანმიმართულად დაშალეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემა, ხოლო ამ სისტემის „ნამსვრევები“ – საქვეყნოდ ცნობილი სამეცნიერო ინსტიტუტები – იმ დროიდან უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან და დღეისათვის მხოლოდ სწორ სახელმწიფო პოლიტიკას თუ შეუძლია მათი გადარჩენა.

არ გჯერათ, რომ ცნობილ პარლამენტარს ეს არ გაუგია? მაშ, მოისმინეთ მისი პასუხი ჟურნალისტის კითხვაზე: „მეცნიერებათა აკადემია იმ ფორმით, რა ფორმითაც ჩვენთან არსებობს, პოსტსაბჭოთა სივრცეში სადამდე დარჩება?“

„– ამ ფორმით შენარჩუნებულია რუსეთში, მაგრამ იქ სხვა რეალობა და რესურსებია. ასევე შეინარჩუნეს უნგრეთში, ნაწილობრივ სახელმწიფო აფინანსებს, მაგრამ ძირითადად მაინც გამოგონებაზე

მუშაობენ. პრინციპში, ასე პირდაპირ არსად არ არის შენარჩუნებული“ („ალია“, 17 დეკ.).

მოკლედ, აქ ბევრი გაუგებრობაა, მაგრამ მთავარი „მესიჯი“ მაინც ნათლად იკითხება: საქართველოში (რუსეთის მსგავსად!) შენარჩუნებულია მეცნიერებათა აკადემია! ყველას მოეხსენება, რა აქცენტსაც შეიცავს რუსეთის სხელება, ამიტომაც დავაზუსტებთ, რომ ყველა თავმოყვარე ქვეყანა – ევროპულიც და პოსტსაბჭოურიც – „ინარჩუნებს“ პროგრესის ისეთ მონაპოვარს, როგორიც მეცნიერებათა აკადემიაა, ანაც მსგავს სისტემას სთავაზობს საკუთარ სამეცნიერო საზოგადოებას განვითარების გარანტიად. ხოლო ქალბატონ გუგულის, რაკი ჩამოჩენის ნიშნად მიუჩნევია აკადემიის არსებობა, დავგვიანებთ მაინც უნდა ვამცნოთ (მისთვის) სასიხარულო ამბავი: საქართველოში არანაირი სისტემა აღარ არსებობს!..

მრავალთა შორის კიდევ ერთ სიბრძნეს ბრძანებს პარლამენტარი: „რაც შეეხება მეცნიერებას, ამაზე კონკრეტული კანონი არ მიგვიღია, მაგრამ ამის გაკეთება შესაძლებელი იქნება, როცა ვითარე-

ბას შევისწავლით. ჩვენ დღეს მართლ იმას ვერ დავეყრდნობით, ვიღაცამ ორი წიგნი გამოუშვა, ვიღაცამ სადღაც ორი სიტყვა თქვა და ასე შემდეგ“.

შეიძლება ვინმე იფიქროს, რომ პარლამენტს ან მთავრობას ამ სფეროში ინფორმაციის ნაკლებობა აქვს; ამიტომაც ვიტყვი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, როგორც ხელისუფლების მთავარი სამეცნიერო მრჩეველი, ყოველწლიურად წარუდგენს მას ჩვენი ქვეყნის ესოდენ დაქსაქსული სამეცნიერო პოტენციალის შემოქმედებითი აქტივობის სრულ სურათს...

მართლაც საკითხავია: რას უნდა დაეყრდნო მეცნიერის შეფასების დროს, თუ არა მისი წიგნი, მის შრომას?! უფრო მწარე კი ეს კითხვაა: მეცნიერების ბედის გადწყვეტისას რატომ უნდა უწევდეს შესაბამისი სამინისტრო უფრო მეტ ანგარიშს იმას, რომ ქალბატონმა გუგულიმ „სადაც ორი სიტყვა თქვა“ და არა იმას, რომ „ვიღაცამ ორი წიგნი გამოუშვა“?! თუ სათანადო სამთავრობო უწყებას მიაჩნია, რომ ჩვენი უკიდურესად შეჭირვებული მეცნიერების – ამ „მოცილებული ჭირის“ – მიმართ კიდევ ერთი იდეოლოგიური შეტევაა საჭირო და ამასთან არის დაკავშირებული ქალბატონი გუგულის ეს ინტერვიუები და, აგრეთვე, პარლამენტარ ნ. ყეინიშვილის ამასწინააღმდეგე გამოსვლა პარლამენტში მეცნიერების „ნანგრევების“ გადახვეტის წინადადებით, მაშინ პირდაპირ, პირუთენელად უნდა ვუთხრათ ერთმანეთს და მეორეთაც:

დიდად შემცდარხართ, თუ ამ სახელმწიფოებრივ დანაშაულს საკუთარ თავზე იღებთ!.. ტყუილად ფიქრობთ, რომ „რეფორმის შემოქმედნი“ ამ „ღვანულს“ დაგიფასებენ!!!

ქალბატონებო, გამოფხიზლდით, უკვე დეპოში ვართ!

ამთანადილ არაბული

ალიან-ჩალიანი

დრასოლი
სასჯალასრულები
სამინისტროს

თანაპროექტებისათვის

საბარტემალს სასჯელაღსრულების სამინისტროს თანამშრომლებს ღრმა დეკოლტითა და დახეული შარვლით სამსახურში სიარული ეკრძალებათ. აკრძალვების შესახებ ბრძანება სასჯელაღსრულების მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა 22 დეკემბერს გამოსცა.

„მოსამსახურეს ეკრძალება სამსახურში გამოცხადდეს დახეული ანდა ღია ფერის შარვლით, ზომაზე მეტად მოკლე (მინიმალური სიგრძე 3-4 სანტიმეტრი მუხლის თავიდან) ქვედაბოლოთი ან/და კაბით, მკვეთრი ფერის სამოსით, ღრმა დეკოლტირებული ან/და გამჭვირვალე პერანგით, ღია ფერის სპორტული ფეხსაცმლითა და წვრილი ზონარის მქონე მკლავის კოფით“, – აღნიშნულია მინისტრის ბრძანებაში, რომელიც გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა.

სამსახური აუზაზური
კულტურის ცენტრი
ბაისნა

თურქეთის ქალაქ სამსუნში აფხაზური კულტურის ცენტრი გაიხსნა. აფხაზური მედიის ინფორმაციით, ცენტრის გახსნაზე მიწვეული იყო დელეგაცია აფხაზეთიდან, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ რეპატრიაციის საკითხებში ე. წ. სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომლები. კულტურული ცენტრის ხელმძღვანელად ჩეტი აფიბა დაინიშნა. ეს უკვე მე-18 მსგავსი ცენტრია თურქეთში.

ოკუპირებული აფხაზეთის წარმომადგენლებმა თურქეთში მცხოვრებ აფხაზურ დელეგაციასთან არაოფიციალური შეხვედრები გამართეს.

ინტერპრესი

პითარება

ეს ერთი კვირას გაუა და, პნახოთ...

მთავრობას ერთკვირიანი პაღა ექლავა
ბანზინის ფასის 1,5 ლარამდე შესამოიკებლად

სანშაშვის ფასის გამო პროტესტის დიდი ტალღა აგორდა. ავტომფლობელები ისევ ქუჩაში გამოვიდნენ. ამჯერად მათ მხარდაჭერას უცხადებენ პოლიტიკოსები და ხელი-სუფლების უმაღლესი ემელონების წარმომადგენლებიც. მძღოლებმა ბენზინის მაღალი ფასების გამო საპროტესტო აქცია გამართეს. და ავტომობილების სიგნალებით სასტუმრო „რედისონიდან“ მთავრობის ადმინისტრაციამდე მსვლელობა მოაწყვეს, რითაც სანშაშზე მაღალი ფასი ერთწუთიანი გაბმული სიგნალით გააპროტესტეს.

აქციის ორგანიზატორის, „ქართული დასის“ ლიდერის ჯონდი ბალათურიას განცხადებით, მთავრობას ერთკვირიანი ვადა ეძლევა, რომ ბენზინის ღირებულება რეალურ ფასამდე – 1,5 ლარამდე შემცირდეს. ბოლო პერიოდში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სანშაშზე მაღალ ფასს მასობრივი მსვლელობით აპროტესტებენ. 26 დეკემბერს იგივე საკითხზე უკვე სხვა ტიპის აქცია გაიმართება. ნელ-ნელა სანშაშის პროტესტი ნაციონალური მოძრაობის ეპოქას უბრუნდება.

„ერთ ლიტრ ბენზინზე უკანონო მონოპოლიური ფასნამატი 67 თეთრია. ეს არის „ქართული ოცნების“ მიერ დანესებული კორუფციული წილი. ყველა კომპანია, რომელიც ამ კარტერულ კორუფციულ შეთანხმებაში მონაწილეობს, არის „ქართული ოცნების“. მთავრობას ვაძლევთ ერთ კვირას, რომ ბენზინის ფასი გახდეს

ლარ-ნახევარი“, – განაცხადა ჯონდი ბალათურიამ.

მისი თქმით, საქართველოში 1 თვეში დაახლოებით 60 მილიონი ლიტრი ბენზინი იყიდება თუ ამას 12 თვეზე გავამრავლებთ, ნელინადში 720 მილიონი ლიტრი გამოდის. აქედან გამომდინარე, 1 თვეში მოსახლეობას უკანონოდ – 40 200 000 ლარს, ნელინადში კი 482 400 000 ლარს ართმევს. „ეს კორუფციული ფასნამატი და ხელისუფლების წილია“, – მიიჩნევს ბალათურია.

მისივე თქმით, დასახელებული 67 თეთრი მიდის კორუმპირებული ჩინოვნიკების ჯიბეში, რომლებიც ფლობენ ბენზინის იმპორტიორ და სადისტრიბუციო კომპანიებს. „თუ ამის შემდეგ არ დაინევს ფასები, მასშტაბებს გავზრდით და გადავალთ მასობრივ აქციებზე, აქ უკვე აქცენტს გავაკეთებთ რაოდენობაზე, დავიწვებთ მძღოლების მობილიზებას. სხვათა შორის, ეს არ არის მხოლოდ მძღოლების პრობლემა, ეს ზოგადად ურტყამს ჩვენს ეკონომიკას. როცა ბენზინი იაფია, მაშინ მცირდება ფასები პროდუქტებზეც. აქ საქმე გვაქვს კარტელურ შეთანხმებასთან, რაც ჩვენ აუცილებლად უნდა დავანგრეთ. ეს არის ოლიგარქების შეთქმულება საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ“, – ამბობს ბალათურია.

სანშაშის ბიზნესში განუკითხაობა უკვე მთავრობის წევრებსაც აღარ მოსწონთ.



პრემიერმა ლარიაშვილმა რამდენიმე დღის წინათ ამაზე ხმამაღლა მთავრობის სხდომაზე ისაუბრა. ამჯერად კი ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე აღიარებს, რომ ნავთობკომპანიები ბენზინსა და დიზელს არაადეკვატური ფასით ყიდნიან და იმედოვნებს, რომ ყველაფერი მოკლე ხანში მოწესრიგდება.

„ამ კონკრეტულ მონაცემებთან დაკავშირებით კითხვები, რა თქმა უნდა, მეც მქონდა. თუ გადავხედავთ საერთაშორისო ბაზარზე არსებულ სანშაშის ფასს, იგი ძალიან დიდი პროცენტით შემცირდა. ფასის კლება ჩვენთანაც იყო, მაგრამ არა იმ ოდენობით, როგორც უნდა ყოფილიყო. ამიტომ, ვფიქრობ, უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნება ფასების დარეგულირება“, – განაცხადა კახა კალაძემ, რითაც „ქართული დასის“ მიერ ორგანიზებული აქციას გამოესმაურა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის

წინათ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა მთავრობის სხდომაზე ხაზი გაუსვა, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობი რამდენიმე ათეული პროცენტით გაიზარდა, რაც საქართველოს ბაზარზე ადეკვატურად არ აისახა. პრემიერმა კონკურენციის სააგენტოს მოსთხოვა 10 დღის ვადაში გასცეს პასუხი კითხვას, რატომ არ იაფდება საქართველოში სანშაშ.

ამასობაში, 26 დეკემბერს, კი მთავრობის კანცელარიის წინ მორიგ აქციას „მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ გამართავს და ბენზინის, დიზელისა და საავტომობილო გაზის ფასს გააპროტესტებს. ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბექა კემულარიას განცხადებით, აქციაზე ისინი წარმოადგენენ სანშაშის ბაზარზე გარიგებული ფასის დანესების დამადასტურებელ მტკიცებულებებს.

გამა დანელია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თავისი წესდების მე-10 თავის შესაბამისად, აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:

სპეციალობა	ვაკანსია
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	
მათემატიკა	1
ბაიოქიმიის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება	
მეცნიერებატექვადი ინოვაციური ტექნოლოგიები	1
ინფორმაციული ტექნოლოგიები – კომპიუტერული ინჟინერია	1
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	
ფიზიკური ქიმია	1
არაორგანული მასალათმცოდნეობა და ტექნოლოგიები	1
ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	
ბიოლოგია	1
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	
ქართული ენა	1
ლიტერატურათმცოდნეობა (ზოგადი და ქართული ლექსმცოდნეობა)	1

© პითუხული კაცის აზრი

რბ იყო 2014 წელს ქართულ ეკონომიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რა გავლენას მოახდენს რუსულ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები, მათ შორის, რუბლის გაუფასურება საქართველოზე და რატომ დაეცა ლარის კურსი? – თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკის ექსპერტი **სოლომონ პავლიაშვილი** ამბობს, რომ არის ლარის ინფლაცია კი არა, დეფლაცია. მისივე განმარტებით, იმპორტიორები ქართულ ბაზრის შენარჩუნებას ცდილობენ და ამიტომ, ფასებს ჯერ არ ზრდიან. პროდუქცია არც ქართველ ექსპორტიორებს გაუძვირებიათ. სოლომონ პავლიაშვილის მოსაზრებით, ლარის გამყარების ყველაზე ეფექტური გზა ინფლაციებისა და ტრანსფერების გაზრდაა...



– 2014 წელს საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და გლობალური მოვლენა, უწინარესად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაა. ამ ხელშეკრულებით, რომელიც დანართებითურთ, თითქმის 2000-გვერდიანი დოკუმენტია, ყველა ის ვალდებულია განისაზღვროს, რომელიც საქართველომ დემოკრატიული, ინსტიტუციური, ეკონომიკური, თავისუფალი ვაჭრობის თუ სხვა მიმართულებით უნდა შეასრულოს. ეს ჩვენი სამთავრობო და საპარლამენტო ხელისუფლებების ყოველდღიური სახელმძღვანელო დოკუმენტია...

მოკლედ, საკითხი ასე, პირდაპირ და კონკრეტულად დგას: თუკი ევროკავშირი გვინდა, ყველა ეს სოციალური თუ პოლიტიკური ვალდებულება, სირთულის მიუხედავად, უნდა შევასრულოთ. ზოგიერთი ლონისძიება ხელისუფლებისთვის შეიძლება პოპულარული და სოციალურად მომგებიანი არ იყოს, მაგრამ უნდა გატარდეს, რადგან ამ ღონისძიებებს, გრძელვადიან პერიოდში, დიდი პოზიტიური ეფექტი მოჰყვება.

– ბატონო სოლომონ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გასაგებია, მაგრამ ნაციონალები ამტკიცებენ, რომ ქვეყანა უფსკრულის პირასაა, ხელისუფლება კი, ეკონომიკურ მიღწევებზე საუბრობს. რეალურად, რა ხდება?

– ეკონომიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებული ან ისეთი, რაც ნაციონალების დროს არ ხდებოდა, ნამდვილად არაფერი ხდება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ კერძო საკუთრებასა და ბიზნესზე ზეწოლის შემთხვევები აღარაა. ყოველ შემთხვევაში, ამის თაობაზე არ მსმენია. წინა ხელისუფლების დროს კი, მოგეხსენებათ, ბიზნესმენებს პირდაპირ ეთერში იჭერდნენ, რაც ადამიანებში შიშსა და პანიკას იწვევდა.

ლარი და 2014 წლის ეკონომიკური მოვლენები

იცით, საქმე რაშია? – თუკი ადრე ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს არ უჭირდა, ეს შეიძლება, იმითაც აიხსნას, რომ გადამხდებლები გადასახადს, ხშირად შიშითა და ზეწოლით, წინასწარაც იხდიდნენ.

– არითმომიკური მოცინიმი ლარის კურსზე რას იტყვით? ამის გამო ვინზე უნდა დაისაჯოს?

– ლარის კურსის ციმციმი „არ ახალია, ძველია“. საერთოდ, ეს ინფლაცია კი არა, დეფლაციაა.

– დეფლაცია რამ გამოიწვია?

– უწინარესად, რუსეთში მიმდინარე მოვლენებმა.

– რუსული რუბლის გაუფასურებას ლართან რა ხელი აქვს?

– რუსეთიდან გადმოირიცხები თითქმის 45%-ითაა შემცირებული, რაც ბაზარზე, პრაქტიკულად, დოლარის ნაკლებობას იწვევს. ანალოგიური პროცესები 1998 წელსაც განვითარდა, როცა რუსეთის ამბები საქართველოს დომინოს პრინციპით გადმოედო და მაშინდელმა სამთავრობო ეკონომიკურმა ბლოკმა ვერაფერი გააკეთა, რომ ეს შედეგები აგვეცილებინა. არადა, მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდიც მთავრობას შესაბამის გაფრთხილებებს აძლევდნენ.

ყველაფერი ეს 2008 წლის მსოფლიო კრიზისისა და რუსეთის აგრესიის დროსაც განმეორდა.

– გამოდის, რომ მთლიანად რუსეთის ეკონომიკაზე ვართ დამოკიდებული?

– ამას ვერ ვიტყვი...

სხვათა შორის, 2014 წლის იანვარ-ნოემბერში, საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 10 359 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 7 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 2 628 მლნ. აშშ დოლარი იყო (0.5 პროცენტით მეტი), იმპორტი კი – 7 731 მლნ აშშ დოლარი (9 პროცენტით მეტი). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2014 წლის იანვარ-ნოემბერში, 5 103 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 49 პროცენტი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთზე ექსპორტის დაახლოებით 10%, იმპორტის კი, 6% მოდის...

– ასეა თუ ისე, მოლოდინი, რომ რუსეთი ქართული პროდუქციის მთავარი გასაღების ბაზარი იქნებოდა, გაქრა?

– პირადად, მე ეს არასოდეს მითქვამს, თუმცა, მიმაჩნია, რომ ქართული ღვინოებისა და მინერალური

სასმელების ექსპორტისთვის ამ ბაზრის გახსნა და ემბარგოს მოხსნა აუცილებელი იყო. აი, სწორედ ესაა მნიშვნელოვანი და ამ მიმართულებით სხვა ბაზრებით ჩანაცვლების საკითხს ამ ეტაპზე ვერ ვხედავ. კარგად მახსოვს: 2006 წელს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი გამოვიდა და განაცხადა, აუცილებლად მოვქმნით რუსეთის ალტერნატიულ ბაზრებსო, რაც რბილად რომ ვთქვა, სიცრუე აღმოჩნდა. იცით, საწყენი და მიუღებელი რა არის? – ჩვენი მეღვინეებისთვის რუსეთის ბაზრის ჩაკეტვა სწორედ ჩვენი დემაგოგიითა და მაშინდელი მთავრობის პროვოცირებით მოხდა, რამაც ქართველ გლეხს მხოლოდ ეკონომიკური კი არა, მორალური დარტყმაც მიაყენა – დაიკარგა ვენახების გაშენების, ღვინის ქარხნების მშენებლობის, ამ სფეროში ახალი ტექნოლოგიების დაწერგვის მოტივაცია და გლეხებმა ყველაფერი ეს საზამთროსა თუ სხვა, საქართველოსთვის არატრადიციული კულტურებით ჩანაცვლეს. ალტერნატიულ ბაზრებზე, ცხადია, უნდა ვიფიქროთ, მაგრამ ამავდროს, არ შეიძლება, რუსეთის ბაზარზე უარი ვთქვათ. გასაგებია, რომ რუსეთის ხელისუფლება არაპროგნოზირებადია და არავინ იცის, თავში რა დაარტყამს, მაგრამ ამ პროვოკაციებს არ უნდა აყვეთ. ხომ ხედავთ, წელიწადზე მეტია, რუსეთის ბაზარი გაიხსნა, მაგრამ ქართულმა პროდუქციამ თავისი დაკარგული ადგილი ჯერ კიდევ ვერ დაიბრუნა და, ალბათ, კარგა ხანს ვერც დაიბრუნებს...

– არაოფიციალური მონაცემებით, რუსეთში საქართველოს მილიონამდე მოქალაქე ცხოვრობს, რომლებიც საქართველოში იჯახებს ინახავენ. მაშასადამე, რუსული ეკონომიკური კრიზისი ქართულ სოციალურ პრობლემებს გააუარესებს, არა?

– დიახ, გარკვეულ დონეზე ნამდვილად ასე იქნება. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართულ ეკონომიკაზე ყველაფერმა ამან ირიბი უარყოფითი ეფექტი მოახდინოს. რუსეთის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები სომხეთი და აზერბაიჯანი არიან, ვისთანაც ჩვენც, ასევე, მჭიდრო ეკონომიკური კავშირები გვაქვს. მაგალითად, საქართველოს ექსპორტის 19% აზერბაიჯანზე მოდის, 10 % კი – სომხეთზე...

– კიდევ ერთი საკითხი, რომელიც 2014 წელს მნიშვნელოვანი იყო – ვერ ამუშავდა ანტიმონოპოლიური სამსახური. ეს მიზანმიმართულად ხომ არ ხდება, ანუ ასლად შექმნილი სახელმწიფო უწყება მონოპოლისტებთან გარკვეულ ფარულ გარიგებაზე ხომ არ წავიდა?

– რამდენიმე დღის წინათ პრემიერმა ამ სამსახურს დაავალა, რომ 10 დღის ვადაში წარმოადგინოს, თუ რა ხება ნავთობროდუქტებში. ვნახოთ, რა მასალას დადებს – ეს ანტიმონოპოლიური სამსახურის პირველი ტესტი იქნება. მე თუ ვითხავთ, ეს სამსახური პოპულიზმს არ უნდა აჰყვეს და დასკვნა საზოგადოების ზოგადი განწყობისა და ვარაუდის მიხედვით არ უნდა გამოიტანოს...

ესაუბრა
საბა მიგრელიშვილი

© იუზილე — 40

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ 40 წლის იუბილე მოკრძალებულად, მაგრამ საინტერესოდ აღნიშნა. ამ ფაქტით ნათელი გახდა, რომ 21-ე საუკუნეში, თანამედროვე ტექნოლოგიებით „გადატვირთულ“ ეპოქაში, სადაც ნაწარმოებებს უკვე საკუთარი მობილური ტელეფონის ეკრანზე კითხულობენ, წიგნს, ქალაქისა და წებოს სურნელს თავის განსაკუთრებული ადგილი მაინც აქვს, მით უფრო მაშინ, როცა თითოეული ფურცელი სულის საზრდოს აწვდის ადამიანს.

მწიგნობართა ასოციაციის ოფისში სწორედ იმ ადამიანებმა მოიყარეს თავი, რომელთაც მეგზურად წიგნი აურჩევიათ. ასოციაციის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **ლია ნადარეიშვილმა** ვრცელი ანგარიში წარმოადგინა, რომლითაც გადმოიცა ის რთული, მაგრამ საამაყო გზა, 1974 წლიდან დღემდე რომ გამოიარეს მწიგნობრებმა. ქალბატონმა ლიამ გაიხსენა წარსული, როცა ქვეყანაში კულტურული ცხოვრება დულდა, ავტორიტეტით სარგებლობდნენ ბიბლიოთეკები, ასოციაცია აერთიანებდა მოსწავლე-ახალგაზრდობას, ინტელიგენციას, წიგნის მოყვარულებს ყველა რაიონსა თუ სოფელში, იმართებოდა მასშტაბური ღონისძიებები, აქტიურობდნენ წიგნის მოყვარულთა კლუბები...

სამწუხაროდ, 1990-იანი წლების სამოქალაქო თუ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად წარმოებულმა ომებმა, სოციალურ-ეკონომიკურმა სიძულვირმა მწიგნობართა ასოციაციაშიც შეაღწია, მაგრამ არა ისე, რომ ფარ-ხმალი დაეყარათ. „როცა რუსთაველზე ტყეები ზუზუნებდა, აქ, ამ ოთახში ნავთქურა გვენთო, გამგეობის სხდომებს ვატარებდით და წიგნებზე ვსაუბრობდით“ — იხსენებს ქალბატონი ლია.

უმიძიესი წლების მიუხედავად, დროს გაუძლო ასოციაციამ და დღეს ისევ იწონებს თავს განხორციელებული პროექტებით, მწირი ფინანსების და სახელმწიფოს მხრიდან აბსოლუტური უყურადღებობის მიუხედავად. აქ იმართება საინტერესო დისკუსიები, საღამოები, წიგნების პრეზენტაციები. განსაკუთრებით სავსეა დარბაზი, როცა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე საუბარი. ეს იქნება შიდა პოლიტიკა, რუსეთთან ურთიერთობა, კონფლიქტური რეგიონები, ეკონომიკა, ეთნიკური პრობლემები თუ სხვა. „ეს არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, ბუნებრივია, ჩვენ არ ვერგები პოლიტიკურ საკითხებში, მაგრამ ყველა მნიშვნელოვან ფაქტზე თუ მოვლენაზე რეაგირებას ვახდენთ და ხელს ვუწყობთ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას“, — ამბობს ასოციაციის ხელმძღვანელი. ამიტომაც არის, რომ აქ მოწვეული ადამიანები უეცრად ხდებიან უმუშაოელები, უფრო საინტერესონი და გულწრფელები. ასე იყო ოთარ ჯანელიძის წიგნის პრეზენტაციისას, ასე იყო როცა ყოფილი გენპროკურორი გია მეფარიშვილი მოიწვიეს, საოცარი შეხვედრა მოუწყვეს არქიმანდრიტ მამა ადამს... ყველას ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს...

სამივე ღროში სოცხალ „მწიგნობართა ასოციაცია“



საინტერესოა, რომ მწიგნობართა ასოციაცია, ლამის ველური კაპიტალიზმის პირობებში, საგამომცემლო საქმის უთანასწორო კონკურენციის ფონზე, მაინც ახერხებს წიგნების გამოცემას, ძალიან მაღალმხატვრულისა, როგორც შინაარსით, ისე პოლიგრაფიულად. იბეჭდება პუბლისტიკა, პროზა თუ პოეზია, ქართველი კლასიკოსების, რომანტიკოსების თუ თანამედროვე პოეტებისა. თანაც ეს არის მინიატიურული წიგნები, რომელთა დაბეჭდვა ძალიან დიდ ხარჯებს უკავშირდება. აღსანიშნავია, მინიატიურული „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოების მეთვალყურეობით გამოიცა.

1980 წლიდან გამოდის ალმანახი „მწიგნობარი“, რომელიც საინტერესო პუბლიკაციებით, ნაშრომებით, თხზულებებით ხიბლავს მკითხველს. მართალია, ალმანახი აბსოლუტურად დოქტაქტით სულდგმულობს, მაგრამ არც ერთი ნომერი არ ჩაუგდიათ. ამ საქმეს დიდი სიყვარულით უძღვება პროფესორი ნოდარ ტაბიძე. ლია ნადარეიშვილს არ გამოერჩენია ის „ჩავარდნები“ და სირთულეები, რაც მწიგნობართა ასოციაციას აქვს: „რეგიონალური ორგანიზაციები აქა-იქ შემორჩა, ხოლო

გუბერნატორებისა და გამგებლების გადაგვიდეთ, ეს პრობლემა კიდევ დიდხანს დაგვრჩება, ალბათ, — ამბობს მწიგნობარი, — დაუზუსტებელია წევრთა რაოდენობა, სასკოლო რეფორმამ სკოლებში გარეშე ორგანიზაციების შესვლა აკრძალა და მოსწავლე ახალგაზრდები ჩვენს რიგებს ერთბაშად ჩამოაშორა. მწერლები ცალკეულ გაერთიანებებად არიან დაშლილი, ამიტომ გვიჭირს მათთან ორგანიზებული კომუნიკაცია. ახალგაზრდა მწერლებთან ხომ მით უმეტეს... ქვეყანაში ზოგადად ძალიან ცოტა ბიბლიოთეკა დარჩა, არადა, ადრე აქტიურად ვთანამშრომლობდით, შექმნილი გვქონდა მწიგნობართა კლუბები... საქართველოში ყველა წიგნის გამოფენაში ვმონაწილეობთ, მაგრამ საერთაშორისო გამოფენებზე ხელი არ მიგვიწვდება. სამწუხაროა, რომ გართულდა კულტურის სამინისტროსთან კომუნიკაცია“.

საანგარიშო მოხსენების შემდეგ, სარევიზიო კომისიამ ფინანსური ანალიზი წარმოადგინა, ასევე ორგანიზაციას წესდებაში შევიდა რამდენიმე ცვლილება და ბოლოს, გამგეობის ახალი წევრებიც აირჩიეს, რომელთაც სიახლეები უნდა შესთავაზონ ორგანიზაციას და საქმიანობა განავითარონ. თუმცა, მწიგნობართა კლუბის ხელმძღვანელი **ნაილი გურბანიძე** მიიჩნევს, რომ „ორგანიზაცია ისედაც კარგ რელსებზე დგას და დიდი კორექტივები არ დასჭირდება. წიგნის მოტრფილენი არ გამქრალან, უბრალოდ მეტი ბიძგია აუცილებელი, განსაკუთრებით, ხელისუფლების მხრიდან... ამაზე უკეთესს რას გააკეთებს მთავრობა, თუ ხალხს წიგნისკენ შემოაბრუნებს. საერთო სულიერებაა საჭირო“, — ამბობს ქალბატონი ნელი.

ფილოსოფოსმა **რეზო ბალანჩიშვილმა** ლია ნადარეიშვილის წვლილს გაუსვა ხაზი: „მწიგნობართა ასოციაციამ არაჩვეულებრივი გზა განვლო. მას ქალბატონი ლია უდგას სათავეში, რომელიმაც დაამტკიცა, რომ ძლიერი ხელმძღვანელია. ქვეყანაში ყველაფერი ინგრეოდა, იშლებოდა, აქ კი თავდაუზოგავად მუშაობდნენ. ესენი არიან ფანატიკოსები, საზოგადოების ელიტური ნაწილი, რომელთაც უყვართ საქმე. წიგნის სიყვარული ხომ საქართველოს, ქართული ღირებულებების სიყვარულს ნიშნავს“.

„მეც თქვენი ვარ, — სიამაყით აღნიშნა პოეტმა **ჰან-სულ ჩარაქშიანმა**, — იშვიათად მინახავს საქმის ასეთი სიყვარული და ერთგულება... ჩემ დროს „ცისკარი“ 70 ათასი ტირაჟით გამოდიოდა. ახლაც გამოდის თურმე... 300 ცალი. დღეს რომ წიგნი აღარავის სჭირდება, ეს სირცხვილია. შენ თუ წარსული არ გექნება, არ გექნება ანგე, ხოლო მომავალზე ლაპარაკი ზედმეტია. მწიგნობართა ასოციაცია — ეს არის ორგანიზაცია, რომელიც სამივე დროში ცოცხალია“...

40 წელიწადი... მოსვენ ხომ სწორედ ამდენი დრო მონდომა უდაბნოში ხეტილას და ხალხის ალტმულ მიწამდე მიყვანას. იქნებ, ეს თარიღი ასოციაციისთვისაც სიმბოლური იყოს?!!

თაბა მოსია

© ალიანგალიანი

ვისი კომპანიები იმარჯვებენ ტენდერებში?

„საპრეტენდენტო“ გამჭვირვალობა-საქართველოს“ ინფორმაციით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2013-2014 წლებში სამშენებლო სამუშაოების შესრულებისთვის გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულებს შორის, მაღალი თანამდებობის პირების მფლობელობაში არსებული კომპანიები არიან.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კვლევაშია აღნიშნული, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი შემსყიდველი ორგანიზაციაა, რომლის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების დიდი წილი სამშენებლო სამუშაოებზე მოდის.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ დეტალურად შეისწავლა ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2013-2014 წლებში სამშენებლო სამუშაოების შესრულებისთვის განხორციელებული შესყიდვები.

როგორც ორგანიზაციის კვლევაშია აღნიშნული, გამოიკვეთა, რომ სამშენებლო სამუშაოებისთვის შესყიდვებს, ძირითადად, სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს. უწყების მიერ სამშენებლო სამუშაოებზე დახარჯულმა თანხამ 2013-2014 წლებში (2014 წლის დეკემბრამდე) დაახლოებით 346.5 მილიონი ლარი შეადგინა.

კვლევის თანახმად, შესყიდვების დიდი უმრავლესობა კონკურენტული ტენდერების მეშვეობით ხორციელდებოდა. ტენდერში გამარჯვებულებს შორის თანამდებობის პირების — სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის დავით გალავაშვილის და პარლამენტის წევრის სერგო ხაბუაიას მფლობელობაში მყოფი კომპანიებიც არიან.

ორგანიზაციის ინფორმაციით, 2013-2014 წლებში 400 ტენდერიდან 126 შემთხვევაში მხოლოდ ერთმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა; 2014 წელს ზოგიერთ ტენდერში სახელმწიფო მმართველობის ქვეშ მყოფმა კომპანიებმა — „სახელმწიფო სამშენებ-

ლო კომპანიამ“ და „თუშეთგზამ“ გაიმარჯვეს.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ კვლევაშია აღნიშნული, იმ კომპანიებს შორის, რომლებმაც 2013-2014 წლებში სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტები მიიღეს, მხოლოდ ერთმა მათგანს ჰქონდა შესება პოლიტიკურ პარტიასთან. კერძოდ, შპს „კავკასიენერგოს“ მფლობელმა ზვიად მესხმა 2014 წლის ივნისში „ქართულ ოცნებას“ 30 000 ლარი შესწირა.

მათივე ინფორმაციით, „საგზაო-სამშენებლო სარემონტო კომპანია „სერპანტინი“, მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირს უკავშირდება. კომპანიამ ორი წლის მანძილზე 6 ტენდერში გაიმარჯვა და 23.8 მლნ ლარი შემოსავალი მიიღო. წილების უმეტესობას (51%) კომპანიაში თამარ ჯანყარაშვილი ფლობს, რომელიც, მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის გიორგი ზედელაშვილის დედაა. 2011-2012 წლებში კომპანიამ უფრო მეტ, 8 ტენდერში გაიმარჯვა, თუმცა, მათი ჯამური ღირებულება მხოლოდ 1.7 მლნ ლარი იყო.

კვლევაში ასევე საუბარია, რომ 2011 წელს რეგისტრირებულმა შპს „პერიომ“, რომლის მფლობელი სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალავაშვილია, 2014 წელს 1.1 მილიონი ლარის ღირებულების ერთი კონტრაქტი მოიგო, 2013 წელს კი კომპანიას ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში არ გაუმარჯვია. აღსანიშნავია, რომ გალავაშვილს და მის მეუღლეს ჯამში 360 ათასი აშშ დოლარის ოდენობის სესხი აქვთ აღებული. ამ სესხების ყოველთვიური გადასახადი მინისტრის მოადგილის ხელფასს სამჯერ აღემატება. 1996 წელს დაარსებულმა შპს „ცეკურმა“, რომლის 62%-ს პარლამენტის წევრი სერგო ხაბუაიანი ფლობს, ორი წლის განმავლობაში 2 მლნ ლარზე მეტი ღირებულების 2 კონტრაქტი მიიღო.

ინტერპრესი

© აკაკალ გულში

ნეკსიროვანი თქაზები

● რომელიმე საშურმეს გენერალურ დირექტორს საქართველოს პარლამენტის დარგორივი ეკონომიკის კომიტეტის სდომიზუ ისეთი დეპუტატი რომ ატყენს, რაც ერთერთი შ.პ.ს-ს დირექტორმა ნიკა გვარამიამ ატყნა და საქართველოს პარლამენტის წევრი გაა ფორმალის ცემით დამუკრებოდა; ნეტა რას უზამდნენ? (სტატუსი ძალიან გულუბრყვილია).

● ისევ კაი ოჯახის კაცს, ერთი-ორი ცალი სახელფასო დანამატი ქე უნდა გეტდოს ოჯახში შტაინერი.

● „რუსთავი-2“-ის ინტერაქტივში მხოლოდ ამ ტელევიზიის თანამშრომლები მონაწილეობენ?

● ნუთუ ხელისუფლებაში არ გამოწვება ერთი ნამდვილი მამაკაცი, ვინც ის ისტერიკაში ჩავარდნილ ფსევდობატრიოტებს დაუდისტურებს, რომ ის ყაბადლებული განცხადება ძალიანაც დროული და სწორი ნათქვამი იყო და ჰკითხავს: ბოდიშის ნაცვლად ჩემი ცოცარი ხომ არ გინდათო?!

● „რუსთავი-2“- ვინ გაფინანსებთ თქვენ? რა სახსრებით იბრძვით უკრაინაში? უკრაინაში მეტროპოლი: თითქმის ყოველი მეტროპოლი ფინანსდება საკუთარი ოჯახიდან. ყველას უგზავნის თავისი ოჯახის წევრი რაღაც თანხას, რომ შევლოთ თავის გატანა.

(შტაგას სისულელეს ყოჩაღი ჯარისკაცი შევიკის ყველაზე იდიოტი პერსონაჟი ვერ მოიფიქრებდა).

● ვინც ნაცებს დღეს კოქს უგორებთ, იმათ არ გქონდეთ იმედი, რომ კიდევ აგირჩევთ! არ გვინდა არც ფარჩაქი და არც ანგარებადგნებული ხელისუფალი ჩამორთმეული მობილურები დაირიგეთ ტო? ფუ! გაჭირვებული სტუდენტებისთვის მიგცდათ არ შეიძლებაოდა? რა გაუმაძღრობა გქირთ, თქვე ქაჯებიო?!

● — და მერე რატომ, რატომ ვცხოვრობთ ჩვენ აქ? რატომ ვუსმნთ გრიგოლის? რატომ ვშიშობთ მიშას დაბრუნებას თეთრ დროზადერზე? რატომ ვეცდებით საგანგებოდა და ბერძენიშვილს? რატომ ვტკებებით გოგორიშვილითა და იმერლიშვილით? რატომ ვგულშემატკივრობთ ნამგებიან ფესბურთს? რატომ ვიცვამთ მეორედ-ხელში? რატომ ვითვლით თეთრებს

იმიტომ, შვილო ჩემო, რომ ეს ჩვენი სამშობლოა! ეპ, არადა, იმ ანგედოტზე რამდენს ვიცინოდით!

● რატომ გამოპყავს ზოგიერთს ვითარება ისე, თითქმის მარტო საგანგებოდა მთავრობა და თვითონ არაფერზე პასუხს არ აცემს? ნაციონალები იმით მაინც გამოირჩეოდნენ, რომ ოდნავ განსხვავებული აზრის შეთხვევაში, ერთმანეთს ცხვირ-პირს უღწებოდნენ. „ხო და სადამდე მივიდნენ ვიცი. ბავშვობაში ერთი იგავი ვისწავლე, ერთი დავკოდის,დანიით დავკოდის ჯობიაო. არ დამინყით ოღონდაც, მოყვარეს პირში უძრახეო. გე მესმის ერთი ერთზე და არა სამეფოებლად. ასეა ეს. ყველა პასუხისმგებელი ხართ,ერთნაირი დოზით!

ამოკრიბა
ბია ბაბარიძე

© ფული ჯოჯოხათს ანათებს?

რას ნიშნავს პროქართული ტელევიზია და რატომ გაიგივდა ის პრორუსულობასთან? „მაესტროდან“ წასული ჟურნალისტები „მაესტროს“ იდეოლოგიური ვექტორის ცლილებაზე საუბრობენ და ამბობენ, რომ ტელეკომპანიის პროქართული გეგმების შესახებ აზრი გავრცელდა როგორც არხის მფლობელ კოტე გოგელიასგან, ისე გენერალური დირექტორის ბაია გადამაძისგან.

ნიშნავს თუ არა პროქართული პრორუსულს? ეს კითხვა „მაესტროს“ ყოფილი პროდიუსერის სოფო კვინტირაძისთვის იდენტურია.

„სადაც გინახავთ, „ბიბისი“ ამბობდეს, რომ პრობრიტანული იდეოლოგიისაა?! ასეთი რამ არ ხდება. როდესაც იდეოლოგიაზეა საუბარი, აუცილებლად გვახსენდება საბჭოთა კავშირი, რუსეთი და იქ არსებული მედიასაშუალებები და სხვა არათავისუფალი ქვეყნები“, — ამბობს კვინტირაძე და განმარტავს, რომ პროქართული იდეოლოგია ნიშნავს პრორუსულს.

„მე სწორად გამიგია და, ალბათ, თქვენც, პოლიტიკოსების მესიჯები, რომ მე ვარ პროქართული. არა პროდასავლური ან ნატოს მომხრე, არც — რუსეთის, არამედ — პროქართული.

არც ნატო და დასავლეთი არ გვინდა, რადგან ისინი გვატყუებენ — ვერასოდეს შევალთ ევროკავშირში და რუსეთზეც ცოტა რბილად საუბრობენ. ამიტომ ვარ პროქართული. ეს, რასაკვირველია, არის ტყუილი. მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, ვარ პროქართველი და აუცილებლად ვარ დასავლური ორიენტაციის, რადგან დარწმუნებული ვარ, ამ ქვეყანას უკეთესი მომავალი, გარდა ევროკავშირის და ნატოსი, არა აქვს. ამიტომ მე არ ვტყუი. ის, ვინც ამბობს, რომ მე პროქართული ვარ და დასავლეთი ცუდია და რუსეთიც, სინამდვილეში, გულისხმობს, რომ დასავლეთი და ევროკავშირი ცუდია და რუსეთი კარგია. ამ იდეოლოგიაზე ვსაუბრობთ, ეს არ არის რამდენიმე თანამშრომლის ბედი ტელეკომპანია „მაესტროში“. სხვა მასშტაბებზეა საუბარი. სხვა ორიენტაციაზე და კურსზეა საუბარი. მე, როგორც რიგით ადამიანს, არ მინდა, ჩრდილოეთისკენ მივექანებოდეთ“, — ამბობს კვინტირაძე.

„მაესტროს“ ჟურნალისტები სწორედ ამ კონტექსტში განიხილავენ არხზე კოკა ყანდიაშვილის მუშაობის დაწყებას. ისინი ყანდიაშვილის ბეგრანდსაც იხსენებენ, რომელსაც თვითონვე აქვს ნათქვამი, რომ პოლიტიკური დაკვეთა შეუსრულებია. ამიტომ „მაესტროს“ ჟურნალისტები არ ენდობიან ადამიანს, რომელსაც ერთხელ უკვე ჰქონია შესება პოლიტიკურ დაკვეთასთან.

გავრცელებული ინფორმაციით, კოკა ყანდიაშვილის გარდა, არხზე ვალერი კვარაცხელიას საგარეუდო მინვესტიც იგეგმება, რომელიც „მაესტროზე“ ანალიტიკურ გადაცემას წაიყვანს. წყაროს ცნობით, კვარაცხელიას მინვესტიც კოტე გოგელიას გადაწყვეტილებაა. თავად პრორუს პოლიტიკოსად მიჩნეული, „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი ვალერი კვარაცხელია ამ შეთავაზებას არ ადისტურებს, თუმცა, აცხადებს, რომ „მაესტროს“ წინადადებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ „მაესტროზე“ „თავისუფლების მაღალი ხარისხი“ იქნება.

რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი თვლის, რომ „მაესტრო“ მარგინალიზდება და, შესაძლოა, ხუბუტიაგოგელიას ევრაზიული გემოვნების შესაბამისი გახდეს.

„მაესტროს“ წაიღეს — ასე შეაფასა ტელეკომპანიაში განვითარებული მოვლენები თინა ხიდაშელმა. მისი თქმით, 2004 წლის შემდეგ ტელევიზიებთან ბრძოლის და ტელევიზიების დაკარგვის მთელი სერიალი გვქონდა.



ხიდაშელი ტელევიზიასთან დაკავშირებით მთლად ოპტიმისტურად არ არის განწყობილი.

მედიაექსპერტი ირაკლი ტაბლიაშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ მოაზროვნე საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი სიტყვა „პროქართულს“ აღიქვამს როგორც „პროგრესიზმის“, ანუ პრორუსულს, რადგან პროგრესიზმობას და პრორუსობას შორის არის ტოლობის ნიშანი. აქედან გამომდინარე, პირები, რომელთა ღირებულებებში ეჭვის შეტანა შეიძლება, სიტყვა „პროქართულში“ არ დებენ პროვეროპულ ინტონაციაში და დებენ სწორედ იმგვარს, როგორც იყო საქართველო უკანასკნელი 70 თუ მეტი წლის განმავლობაში.

„ამ შემთხვევაში, პროქართულობა პრორუსულობის შირმა კი არ არის, არამედ ეს არის პროქართულობის არასწორი გაგება, თორემ ყველაზე უფრო პროქართული არის პროვეროპული. მინდა, ვკითხო ამ პირებს, რომლებიც პროქართულობაზე ლაპარაკობენ, გულისხმობენ თუ არა ამაში ევროპელობას?! ბუნებრივია, არ გულისხმობენ. ისინი გულისხმობენ იმას, რა კონცეფციასაც გვთავაზობს რუსე-

თი“, — აღნიშნა ირაკლი ტაბლიაშვილმა.

მედიაექსპერტი ლელა კურდელაშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ვინეგრეტი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ტრიალებს, გარკვევას მოითხოვს და 25-წლიანი გაუგებრობა უნდა დამთავრდეს. მედიაექსპერტისთვის გაურკვეველია, რას გულისხმობს ტერმინი „პროქართული“? ნებისმიერი იდეოლოგია ხომ ეფუძნება დიდ სამეცნიერო და ფილოსოფიურ განსაზღვრებას, მაგრამ რას ემყარება პროქართულობა?

„მე არ ვიცი, რას ემყარება, არც არსად წამიკითხავს, ვინმეს დაუწერია? ვამბობთ, აი, ილია ჭავჭავაძემ თქვა და ამიტომაც ვიცით, რომ ეს ასე არის. სინამდვილეში, ხომ არ ვიცით, რა არის პროქართულობა? პირველი ქართული ტელევიზია, სინამდვილეში, იყო საბჭოთა იდეოლოგიის, ის პროქართული არ ყოფილა, უბრალოდ, იყო ქართულენოვანი, ქართულ ენაზე ნათარგმნი, ოღონდ საბჭოური შინაარსით.

თუ ვიძახით, ტელევიზია პრორუსულიაო, მაშინ უნდა ვთქვათ, პრორუსული რას გულისხმობს? ეს არის სახელწიფოს მონყოფის ისეთი ფორმა, რომელსაც რუსეთი გვთავაზობს? თუნდაც ეკონომიკის ისეთი ფორმა, როცა ერთი კაცის სიტყვა და გადამწყვეტილება უფრო ფასობს, ვიდრე მთლიანად სისტემა და კანონი? თუ ამას ვიძახით პრორუსულს, მაშინ პრორუსული ყოფილა ყაზახეთიც, თურქმენეთიც, ჩინეთიც და მთელი აზია. მაგრამ არის ეს პრორუსული?

ან კიდევ, პროდასავლური თუ გულისხმობს ჩრდილოატლანტიკურ გზას, მაშინ გასაგებია, რომ სამხედრო ბლოკთან გვაქვს საქმე, თორემ პროდასავლური შეიძლება იყოს საერთოდ სხვა ტიპის დასავლეთი. მაგონია, რომ უბრალოდ ლაპარაკია, ჩადებს თუ არა ფულს ხუბუტია „მაესტროში“. რომც ჩადოს ფული, მერე რა იქნება? იქნება ეს ფული, რომლითაც ხალხის დაბოლქვას შეეცდებიან? ხალხის დაბოლქვის მცდელობა ხომ ამოდ ჩაივლის, რადგან საქართველოში მათი იდეები მაინცდამაინც არ არის მხარდაჭერილი. ეს გამოიწვევს კონკრეტული მედიასაშუალების მარგინალიზაციას. ამიტომ, თუ უნდათ, ჩაყარონ მილიონები. „მაესტროს“ ჟურნალისტებიც ისე წამოვიდნენ, საბოლოო ჯამში, არაფერი არ ვიცით. მათ თვითონაც არ იცინან, რა ხდება ტელევიზიაში. თუმცა, ეს პროცესი „მაესტროზე“ დიდი ხანია, დაიწყო. ყველანი ვამჩნევდით, რაღაც ვერ იყო კარგად, „მაესტრო-

ელეები“ სადღაც ქრებოდნენ, მიდიოდნენ, რატომ ხდებოდა ეს, არავის აუხსნია ჩვენთვის“, — აცხადებს ლელა კურდელაშვილი.

ამასთან, მედიაექსპერტი თვლის, რომ ხელისუფლებას ყოველთვის უნდათ ტელევიზიების გაკონტროლება, ჩერჩილის მაგალითიც ამის დასტურია, ბოლო არ ჩვენებისას აბსოლუტურად გაკონტროლებული იყო ძალზე ძლიერი ინგლისური მედია, მაგრამ ლელა კურდელაშვილს ყველაზე მეტად ის უკვირს, „მაესტროს“ ჟურნალისტები რატომ ვერ ახერხებენ სხვა პარადიგმაში გადაიყვანონ ხელისუფლებასთან დაპირისპირების მცდელობა. ყველა მათგანს ხომ, მინიმუმ, ერთნაირი ხელშეკრულებები მაინც ჰქონდა? ამიტომ, თუ მართლაც დასავლელი „ტიპები“ არიან, ასეთი ბრალდებებით და ბოდვებით კი არ უნდა იდგავონ, რომ, ვაიმე, პროქართულობა და პრორუსულობაო, არამედ კანონის ფარგლებში გადაიყვანონ ეს ბრძოლა...

მარიამ ლულაშვილი

© ამტუალური თემა

ტერიტორიული მთლიანობა თუ ეკონომიკური განვითარება?

ამ ორიდან რომელი უნდა დაისახოს ორიენტირად საქართველომ?

რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი ენგურის ხიდზე ახალი სასაზღვრო ზოლის გამართვას და თანამედროვე აბრატურით აღჭურვილი საბაჟო პუნქტის მოწყობას ითვლისწინებს. ასევე, ხელშეკრულებაში პირდაპირ არის საუბარი იმაზე, რომ „ერთ სახელმწიფოზე აგრესიის განხორციელება მექანიკურად ითვლება მეორე სახელმწიფოზე აგრესიად და ამიტომ ისინი მტრის მოგერიებას გაერთიანებული სამხედრო ძალებით ეცდებიან. სწორედ ამ ფაქტორებს გაუსვა ხაზი ჟურნალისტებთან საუბრისას რუსეთის სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლეონიდა კალაშნიკოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ მათსა და აფხაზეთს შორის „ფაქტობრივად, ფორმირებულია თავდაცვისა და უსაფრთხოების საერთო სივრცე და რუსეთის ფედერაციის საზღვრები ენგურის ხიდამდე გადაიწევა“.

კალაშნიკოვის განცხადებასთან დაკავშირებით „პო-პიჩ-პიჩი“ ექსპერტ მამუკა არეშიძის ესაუბრა.

— ბატონო მამუკა, კალაშნიკოვის განცხადებიდან გამომდინარე, აფხაზეთში რა ცვლილებებს უნდა ველოდეთ?

— ენგურის ე. წ. საზღვართან რუსი მესაზღვრეები და შეიარაღებული ძალების ნაწილები კარგა ხანია, დგანან. ახლა შეიცვლება მხოლოდ ის, რომ თუ

აქამდე რუსებთან ერთად აფხაზებიც აკონტროლებდნენ საზღვარს, მომავალში მხოლოდ რუსები გააკონტროლებენ.

შეიქმნება საზღვრის დაცვის ახალი სისტემა, რაც თავისთავად მოსახლეობის მიმოსვლას ხელს შეუშლის, ვინაიდან აფხაზეთთან საკომუნიკაციოდ ერ-

თადერთ საშუალებად მხოლოდ ენგურის ხიდს გამოიყენებენ.

რუსებს შეუძლიათ, იქ აბაგონ კედელი, გაავლონ მავთულხლართები და საზღვრები ისე დაიცვან, როგორც ამას რუსეთის სხვა საზღვრებზე აკეთებენ. თუმცა, რამდენად გამოუვათ, ეს სხვა საკითხია. მაგალითად, ყაზახეთ-რუსეთის საზღვარი სრულიად დაუცველია, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში შეიძლება საკითხს პრინციპულად მიუდგნენ.

რაც შეეხება კალაშნიკოვის კონკრეტულ განცხადებას, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ დეკლარაცია და ცინიკური ხაზგასმა იმაზე, რომ საქართველო-რუსეთის საზღვარი სწორედ ენგურზე გადის.

ტაჯიკეთისა და ავღანეთის საზღვარზეც რუსი მესაზღვრეები დგანან, მაგრამ რუსული მხარე არ ამბობს, რომ ეს ავღანეთ-რუსეთის საზღვარია, აქ კი — პირიქით, ხმამაღლა აღნიშნავენ, რომ რუსეთის საზღვარი ენგურამდე გადმოიწევა.

ეს არის გამოწვევა საქართველოსთვის და მხოლოდ იმისთვის კეთდება, რომ საქართველოს სწრაფვას დასავლეთისკენ ხელი შეეშალოს.

ნ. 8 გვ.

© ალიანჩალიანი

ჩინური კომპანიები საქართველოს სოფლის მეურნეობით ინვესტირებენ

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია ჩინეთის ელექტრონული პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის ეროვნული კორპორაციის წარმომადგენლებს შეხვდა.

ჩინეთის ელექტრონული პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის ეროვნული კორპორაცია 1980 წელს შეიქმნა და მისი წლიური ბრუნვა 6,3 მლრდ აშშ დოლარს აღემატება.

დელეგაციის ხელმძღვანელის თქმით, კორპორაცია მრავალპროფილიანია და მის საქმიანობაში სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარება და აგრარულ მრეწველობაში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა — ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა. ამჟამად კორპორაციას მსოფლიოს 140 ქვეყანასთან აქვს დამყარებული სავაჭრო ურთიერთობები.

ოთარ დანელიამ დეტალური ინფორმაცია მიანიჭა სტუმრებს საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის პრიორიტეტულ მიმართულებებზე და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელით დააფიცირა მზადყოფნა, მაქსიმალურად მხარი დაუჭიროს ახალი ჩინური ინვესტიციების განხორციელებას საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

ინტერპრესი

© საჭიროებოთ საკითხი



პასტანა აბაშიძე: სანბრძლივი რეკლამა მისი ღამეკეთის ინტერესებსაც აზიანებს

„შესწორებამ, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ღრუს მიიღეს, რიგობა გალავნიდა მათიგანაჲდ შიდაპატიან პირობებში ჩაყვანა.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საკანონმდებლო ორგანოს ახალი კანონპროექტი შესთავაზა, რომლის განხილვაც პარლამენტში გუშინ დაიწყო. კანონპროექტის მიხედვით, მაუწყებლებს კომერციული რეკლამის განთავსებაზე ახალი რეგულაციები უნდა დაუწესდეთ. ცვლილებების თანახმად, 2015 წელს სარეკლამო ჭრა იქნება არაუმეტეს 15 წუთისა ერთი საათის განმავლობაში. 2016 წლიდან კი, სარეკლამო ჭრისათვის ერთი საათის განმავლობაში გამოყოფილი დრო შეიძლება 12 წუთამდეც შემცირდეს. მოქმედი კანონმდებლობით, მაუწყებლებს სარეკლამო დროისთვის მთლიანი სამაუწყებლო ბადის 20 პროცენტი აქვთ გამოყოფილი, მაგრამ უფლება აქვთ, ეს დრო საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენონ. შესაბამისად, სატელევიზიო რეკლამის დიდი ნაწილი ე.წ. პრაიმ ტაიმში ხვდება. ახალი რეგულაციით 20%-იანი შეზღუდვა ძალაში რჩება, თუმცა, ის შეეხება არა 24-საათიან ბადეს, არამედ ყოველ საათს, რაც იმას ნიშნავს, რომ მაუწყებელს დღის ნებისმიერ მონაკვეთში სარეკლამო ჭრისათვის საათში მხოლოდ 15 წუთი ექნება.

bpn.ge ამ საკითხზე მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს პასტანა აბაშიძეს ესაუბრა:

— „ცვლილება რამდენიმე მიმართულებით უნდა განხორციელდეს და ეს მოხდება წარმატებული ევროპული პრაქტიკის მიხედვით. ვგულისხმობ ევროდირექტივას, რომლის მოთხოვნებიც საქართველომ 2018 წლამდე უნდა შეასრულოს. პირველ ყოვლისა, კანონით უნდა განისაზღვროს კომერციული რეკლამის ზღვარი სამაუწყებლო საათის განმავლობაში. ეს არის საკითხი, რომელიც უკლებლივ ყველას აღევლინება — მომხმარებელს, მაუწყებელს და სარეკლამო სააგენტოებსაც. დღევანდელი კანონმდებლობით ასეთი შეზღუდვა არ არსებობს, რადგან ეს შეზღუდვა გაუქმდა 2011 წელს. ამ ეტაპზე რეკლამა არ უნდა აღემატებოდეს მთელი სამაუწყებლო ბადის 20 პროცენტს, ანუ 24 საათის 20 პროცენტს. ახალი რეგულაციებით კი, საათში 20-პროცენტისა ზღვარი შემოღეს. არის სხვა ცვლილებებიც, რომელთა აღსრულებაც 2018 წლამდე უნდა მოესწროს. სხვათა შორის, არსებობს ასეთი საინტერესო მონაცემი: სარეკლამო ბლოკის მესამე წუთის შემდეგ, ამ რეკლამისადმი ყურადღებამ სერიოზულად მცირდება, ამიტომ ხანგრძლივად გაგრძელებული რეკლამა მისი დამკვეთის ინტერესებსაც აზიანებს“.

ვასტანაგ აბაშიძე არ გამოირცხავს, რომ ახალი რეგულაციების შემოღების შემდეგ შეიძლება რეკლამის ფასი გაიზარდოს, მაგრამ, თუ მაუწყებელი გონივრულად იმუშავებს, ეს მის შემოსავალზე ნაკლებად აისახება. „რეკლამა თანაბრად გადანაწილდება სხვა დროზე, ან სხვა მედიასაშუალებებზე, მათ შორის, შედარებით მცირე ტელევიზიებში, რადიოში, ან თუნდაც, პრესაში“, — ამბობს აბაშიძე. მისივე თქმით, იყო ვარიანტი, რომ საათის განმავლობაში სარეკლამო ჭრის დრო 15 %-მდე შემცირებულიყო, მაგრამ ევროდირექტივაში ასეთი დაბალი ზღვარი არ არსებობს, ამიტომ 20 პროცენტზე საკლებით მისაღება. მთავარია, რეკლამა მონოპოლიზებული არ იყოს და სად განთავსდება დამკვეთი თავის რეკლამას, ეს უკვე ბიზნესის საქმეა“, — ამბობს ჟურნალისტი ია ანთაძე. ია ანთაძე: „მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, რომ სარეკლამო დრო დაარეგულიროს. ამ საკითხის მონესრულება უმოკლეს დროში შეიძლება, კანონპროექტი პარლამენტშია შეტანილი და ვნახთ, პარლამენტი რას გადაწყვეტს. როდესაც სარეკლამო დროის ხანგრძლივობა დადგინდება, ამის შემდეგ ტელევიზია თვითონ გადაწყვეტს, რა როგორ დააფასოს, რეკლამის დამკვეთიც იოლად განსაზღვრავს, იყიდოს ეს დრო ამ

ტელევიზიაში, თუ თავისი რეკლამა სხვაგან განათავსოს. ეს არის ბიზნესი, რომლის მთავარი პრობლემა ის გახლდათ, რომ მონოპოლიზებული იყო. ეს არ უნდა გაგრძელდეს და რეკლამის დამკვეთიც და მისი მიმღებიც კანონს უნდა დაეჭვებინებოდნენ. დღეს მოქმედი კანონი ჩვენს ტელევიზიებს აძლევს იმის საშუალებას, საირეკლამო დრო ისე გაანაწილონ, როგორც აწყობთ“.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარის მოადგილე პაატა კვიფინაძე: „კანონპროექტი პარლამენტში კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ შემოიტანა. გვთავაზობდნენ, რომ კანონი ამ კვირისთვის მიგვეღო, მაგრამ ამაზე უარი ვთქვით, რადგან გვინდა, ყველაფერი საფუძვლიანად განვიხილოთ. ჩვენი მიზანი არა მარტო მომხმარებლის ინტერესების დაცვაა, არამედ ევროდირექტივების გათვალისწინებაც. აღნიშნულ რეგულაციებს თითქმის ყველა ტელევიზია ეთანხმება, მაგრამ „რუსთავი 2“-ს აქვს შენიშვნები. ჩვენც ვცდილობთ, ყველას ინტერესები გავითვალისწინოთ. ჯერჯერობით მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ამ წუთში დავა იმის გამო მიმდინარეობს, თუ როდის უნდა შევიდეს ძალაში ეს რეგულაციები და რა სახით. თუმცა, იმას რომ ცვლილებები საჭიროა, ყველა აღიარებს. ზოგიერთი მედიასაშუალება პირიქით, მოითხოვს, რაც შეიძლება მალე მივიღოთ ეს კანონი. წარმოიდგინეთ თუნდაც მაყურებლის მდგომარეობა, როდესაც ერთი საათიდან ნახევარი საათი რეკლამას ეთმობა, ეს დაუშვებელია. ზოგიერთი ადამიანი ამ დროს საერთოდ რთავს ტელევიზორს, ან სხვა არხზე გადართავს. შევეცდებით, რომ ევრორეგულაციები ქართულ რეალობას მოვარგოთ“.

კვიფინაძე აღიარებს, რომ, შესაძლოა, კანონის შემოღების შემდეგ რეკლამა გაძვირდეს, მაგრამ აქაც არის გამოსავალი: „მაუწყებელი ადრე თუ ხუთჯერ უშვებდა რეკლამას, გაძვირების შემთხვევაში სამჯერ გაუშვებს და საერთო ჯამში იგივე შემოსავალი ექნება. ყველანაირად ვცდილობთ, რომ მაუწყებლებისათვის ეს შოკი არ იყოს, ამიტომ დროს აუცილებლად მივცემთ. სწორედ ამის გამო არ ვიღებთ კანონს დაჩქარებული წესით. როდის შევა ახალი რეგულაციები ძალაში? — ეს საკითხი ურთიერთშეთანხმებისა და მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდეს“, — განაცხადა კვიფინაძემ.

სათუნა ჩიგოშიაძე

© რეიტინგი

პერმის, იქნებ, პირველ ათეულში შევიდეთ

ბოლო მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც საერთაშორისო რეიტინგული კომპანიების „თრეს ინტერნეიშნლისა“ და „რენდ კორპორეიშნის“ ერთობლივი პროექტის განხორციელების შედეგადაა მიღებული, კორუფციული რისკების მიხედვით მსოფლიო ქვეყნების ინდექსების ნუსხაში, რომელშიც 197 სახელმწიფოა შესული, საქართველო მეორე ათეულის ლიდერია და მე-11 ადგილს იკავებს.

უნდა ითქვას, რომ „თრეს ინტერნეიშნლისა“ და „რენდ კორპორეიშნის“ კვლევა გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე ისეთი სოლიდური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევა, როგორცაა მსოფლიო ბანკი: პირველი მათგანი, როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიო 197 ქვეყანაში ჩატარდა, მეორე კი, კერძოდ, ანგარიში „ბიზნესის კეთების სიმარტივე“ — 189 ქვეყანაში. ამდენად, რა გასაკვირია, რომ ამ სიაში მე-11 ადგილზე ყოფნა სიამაყის ცოცხა უფრო მძლავრ ბიძგს იძლევა, როცა ვხედავთ, რომ ამ მხრივ ვუსწრებთ ისეთ გამოჩენილ ქვეყნებს, როგორებიცაა ნორვეგია, ჰოლანდია, საფრანგეთი, შვეიცარია და სხვ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „თრეს ინტერნეიშნლის“ მატრიცა კორუფციული რისკების შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, რომელიც პოტენციურ ინვესტორებს, ზოგადად საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, ქვეყანაში არსებული კორუფციული რისკების დონის შეფასების შესაძლებლობას აძლევს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა ულუკიანმა (იგი, ამავე დროს, ასევე ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარეცაა) იმედი გამოთქვა, რომ ანტიკორუფციული ტენდენციები მომავალში კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება და უახლოეს ხანებში საქართველო, ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ათეულში შევა.

იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, კორუფციული რისკების ინდექსი შემდეგი პარამეტრების მიხედვით დგინდება: ბიზნესის ურთიერთობა მთავრობასთან; რეგულაციების სიმარტივე და ქრთამის გაღების მოლოდინი; ანტიკორუფციული კანონები და მათი აღსრულება; სახელმწიფო სერვისების გამჭვირვალობა და სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგის შესაძლებლობა, რაც მედიის თავისუფლებასა და სოციალური განვითარების დონეს მოიცავს.

აღსანიშნავია, რომ „თრეს ინტერნეიშნლისა“ და „რენდ კორპორეიშნის“ მიერ გამოქვეყნებული კვლევის „მსოფლიო კორუფციის რისკების რეიტინგის“ ავტორები მრავალი მეტად ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიწოდებულ მონაცემებს ეყრდნობოდნენ. მათ შორის არიან მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა და მსოფლიო ბანკის, მსოფლიო მართლმსაჯულების

პროექტის, გაეროს განვითარების პროგრამის „ფრიდომ ჰაუსის“, „რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“, „გლობალ ინტეგრირების“, მსოფლიო შრომის ორგანიზაციის, ზოგიერთ სხვათა ანგარიშები. მიღებული მონაცემების ერთიან სტანდარტზე მოყვანა 100-ქულიან შკალაზე განთავსებით ხდება — რაც უფრო მაღალია მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია ქვეყანაში ბიზნესისთვის კორუფციული რისკები.

კორუფციული რისკების მომდევნო ინდექსის შემდეგი კვლევის მონაცემთა გამოქვეყნება 2016 წელსაა დაგეგმილი. ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ეს მაჩვენებელი დიდ როლს ასრულებს ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტიციების მიზიდვა-არმიზიდვის, ასევე ეკონომიკური განვითარების დონის განსაზღვრისა და მეტად საყურადღებო კრიტერიუმია. ამიტომაცაა, რომ ყველა ის სერიოზული, ავტორიტეტული კვლევა, რომელსაც ქვეყანას ამ მხრივ შეფასებას აძლევს, მეტად მნიშვნელოვანია და დიდ ყურადღებას იმსახურებს. კორუფციის რისკების განმსაზღვრელი და მისი მსგავსი სხვა რეიტინგები საგანგებოდ საქმიანი წრეების წარმომადგენლებისთვის დგინდება, რაც მათ საკუთარი პოლიტიკის წარმართვის ნაკლებად სახიფათო გზების არჩევაში ეხმარება.

ზემოთ ის ოთხი პარამეტრი ჩამოვთვალეთ, რომელთა ერთობლიობა კორუფციის რისკების რეიტინგს საფუძვლად უდევს. აღსანიშნავია, რომ მათ შორის ყველაზე მაღალი შეფასება საქართველოში მთავრობასა და ბიზნესს შორის ურთიერთობას მიეცა, სახელმწიფო სერვისების გამჭვირვალობის ხარისხით საქართველოს ასევე ერთ-ერთი მოწინავე, მე-5 პოზიცია უკავია. ამ პირველ ორ პარამეტრთან შედარებით, უფრო მოკრძალებული 35-ე ადგილი საქართველოს ანტიკორუფციული კანონებისა და მათი აღსრულების მხრივ უკავია. ყველაზე სუსტი მხარე კი ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების კონტროლის მხრივაცაა, რა კრიტერიუმითაც 71-ე ადგილი გვაქვს მიჩენილი.

კორუფციის რისკების რეიტინგის ანგარიშის ავტორების განცხადებით, სხვადასხვა კატეგორიაში მიღებული შეფასებების დაჯამების შედეგად, მკვლევა-რები ქვეყნების მიხედვით მთლიან ქულებს იღებენ. ოთხიდან თითოეული პოზიცია, რომელთა გამო კორუფციის რისკების რეიტინგი ერთგვარად „ფენოვანი“ ხდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთიდან 100 ქულამდე ფასდება და რაც უფრო მეტ ქულას მიიღებს რომელიმე კონკრეტული ქვეყანა, მით უფრო მაღალია იქ კორუფციის რისკი. ამ კრიტერიუმით მიდგომის შედეგად, საქართველო კორუფციული რისკების დაბალი დონის მქონე ქვეყნების რიცხვს არის მიკუთვნებული.

ოთარ ტურაბალიძე

© ალიანჯალიანი

პრეზენტში გაზრდა კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლების დასახლებულად ქცევა

კონფლიქტისა და „ცხინვალის სახლის“ თავმჯდომარე მარინა მეშვილდიშვილის ინფორმაციით, ერგენტში ერთდღიანი გაზრდა კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლების დასახლებულად ქცევა და ოსი მოსახლეობისთვის განკუთვნილი არ არის.

მარინა მეშვილდიშვილმა განაცხადა, ე.წ. „იარმარკა“ მისი ორგანიზაციის ინიციატივით და ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ტარდება:

„ჩვენი ამოცანაა, დავხმაროთ სოფლის მოსახლეობას, მოახდინოს საკუთარი პროდუქციის რეალიზება. ამისთვის, ერგენტში სტუმრები გორიდან და თბილისიდან ჩამოვლენ. ეს არის აბსოლუტურად არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივა და მხარდაჭერილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის. ხელისუფლება მხოლოდ მართლწესრიგის დაცვაში გვეხმარება, ვინაიდან მივმართეთ მათ, რომ ერგენტში ვატარებთ ღონისძიებას და გვესაქიარება მართლწესრიგის დაცვა“.

ინტერპრესი



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს პარლამენტმა თანხმობა მისცა 2015 წელს ავღანეთში ნატოს ოპერაციაში მონაწილეობაზე — იქიდან დასავლეთის ქვეყნების ძირითადი კონტინგენტის გამოყვანის შემდეგ. ამ დროს თავად საქართველოში იზრდება განხილვა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გამო. ამას მონაწილეს ახლანდელ მონაწილეს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები.

გამოკითხვას ანარმოებდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტი“. ჩვენ მოვიცავით საზოგადოების მთელი ფენა, გამოვკითხეთ ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი, ყველა სოციალური კატეგორია, თანაც ვმუშაობდით როგორც ქალაქებში, ისე სოფლის ადგილებში, — უთხრა ჩვენს გაზეთის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გულბათ რცხილაძემ. როგორც გაირკვა, რესპონდენტების მხოლოდ 20 პროცენტი მზად, მხარი დაუჭიროს ნატოს სამხედრო ბაზების შესაძლო განთავსებას საქართველოს ტერიტორიაზე. 62 პროცენტი კი წინააღმდეგია, რომ საქართველოს სამხედრო მოსამსახურეებში გაიგზავნონ საზღვარგარეთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ძალოვან ოპერაციებში მონაწილეობისთვის. და კიდევ ერთი საინტერესო მომენტი: გამოკითხულთა მხოლოდ 32 პროცენტი დადებითად ეპყრობა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლას, მაშინ, როდესაც 40 პროცენტი წინააღმდეგე გამოდის.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის 5 იანვარს საქართველოში პრეზიდენტის არჩევნებთან ერთად მოწყოლო რეფერენდუმი ნატოში წევრობის საკითხთან დაკავშირებით. მაშინ ქვეყნის 77 პრო-

ქართველებს რაი ალარ სურთ

გამოკითხულთა უმრავლესობა საზღვარგარეთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ოპერაციებში მონაწილეობის წინააღმდეგია

ცენტმა მხარი დაუჭირა ამ წინადადებას. სხვათა შორის, გულბათ რცხილაძე დარწმუნებულია: „ამ პლემბისციტის შედეგები გაყალბებული იყო, ისევე, როგორც თავად პრეზიდენტის არჩევნების შედეგები, რომელშიც მიხეილ სააკაშვილმა გაიმარჯვა“.

ქართველი პოლიტიკოსები,

მოიპოვა პროდასავლელმა და არა პრორუსულმა ძალებმა? — ასეთი რიტორიკული შეკითხვა მისცა მმართველი კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, საბჭოთა ეპოქის დისიდენტმა ლევან ბერძენიშვილმა ჩვენს გაზეთს.

მაგრამ გულბათ რცხილაძეს პოლიტიკოსების ეჭვი არ აღელვებს. „ჩვენ მზად ვართ, წარვად-



რომლებსაც ჩვენმა გაზეთმა სთხოვა კომენტარი გაუკეთონ გამოკითხვის შედეგებს, მისადმი მეტად სკეპტიკურები იყვნენ. „თუ რცხილაძე მართალია და ქართველები მართლაც გამოდიან ნატოში შესვლის წინააღმდეგ ისე, როგორც გამოვიდა, მაშინ პარლამენტში ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა რატომ

გინოთ ყველა დოკუმენტი, ყველა ანკედა, რომელთა გაყალბებაც შეუძლებელია“, — უთხრა მან ჩვენს გაზეთს. და დაუმატა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ საქართველოს „პრიორიტეტულ პარტნიორად“ რუსეთი დაასახელა.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად ბატონი რცხილაძე მიიჩნევს

ატმალური თემა

ტერიტორიული მთლიანობა თუ აკონომიკური განვითარება?

ამ ორიდან რომელი უნდა დაისახოს ორიენტირად საქართველომ?

(მამუკა ბაქრაძე) — რუსეთის მხრიდან მსგავსი განცხადებები, გარკვეულწილად, საქართველოს შინა პოლიტიკურ დაძაბულობასაც ხომ არ უწყობს ხელს?

— რა თქმა უნდა, ასეთი ხმა-მაღალი და ცინიკური განცხადებები იმისთვისაცაა გათვლილი, რომ საქართველოს მოსახლეობის თვალში საკუთარი ხელისუფლების დისკრედიტაციას შეუწყოს ხელი და საზოგადოებამ უმოკმედობაში დაადასაშულოს მთავრობა, რომელიც ცდილობს, შედეგს დიალოგის გზით მიაღწიოს.

— რუსული და აფხაზური მხარე ევროკავშირს ისევ ორმაგი სტანდარტების გამოყენებაში სდებენ ბრალს და უკმაყოფილებას გამოთქვამენ ევროპარლამენტის რეზოლუციის მიმართ, რომელშიც რუსეთის აფხაზეთთან დადებული ხელშეკრულების გაუქმებისა და სეპარატისტული რეგიონების ანექსიის შეწყვეტისკენ მოუწოდებენ. ამასთან, აცხადებენ, რომ ვერანაირი რეზოლუციები მათ ხელს ვერ შეუშლის მიზნების განხორციელებაში.

— რუსეთი დიდი ხანია, სამართლის ჩარჩოებიდან გასულია, რასაც საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის მიმართ მისი ქმედებებიც ადასტურებს. ის არ ცნობს მის წინააღმდეგ გამოტანილ რეზოლუციებს და აქედან გამომდინარე, არასამართლებრივ სივრცეში მოქმედებს ისე, როგორც სურს და მის მიერ ოკუპირებული რეგიონებიც იგივე გზას ადგანან.

— აფხაზები და ოსები მუდმივად აპელირე-



ბენ იმაზე, რომ საქართველომ ხელი უნდა მოახერხოს თავდაუსხმელობის შესახებ იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, რათა 2008 წლის სტენარი არ განმეორდეს. არსებობს მათზე თავდასხმის საშიშროება?

— ეს არის პიარის ნაწილი. მათ ძალიან კარგად იციან, რომ 2008 წელს არავინ გაიმეორებს და ქართული მხარე თანახმაა, ხელი მოახერხოს ასეთი ტიპის დოკუმენტს, ოღონდ როგორც საკუთარი ქვეყნის მხარეებთან და არა — რუსეთის მიერ ალიარებულ დამოუკიდებელ წარმონაქმნებთან.

საქართველოს მთავრობა ამ ნაბიჯისთვის მზად არის, მაგრამ ისინი ეწევიან ერთგვარ პიარს, რომ საზოგადოების ცნობიერებაში გარკვეული კოდი ჩადონ.

პუტინის წინადადებაზე, რომლითაც აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგისკენ მოგვიწოდა, ქართული მხარე თანახმაა, მაგრამ როგორც კი დიალოგის შესაძლებლობაზე მიდის საუბარი, აფხაზები და ოსები უწინარესად ამ საკითხს აყენებენ წინ და ითხოვენ, რომ ხელი მოვანეროთ თავდაუსხმელობის დოკუმენტს.

ეს არის პოლიტიკური თვალთმაქცობა. სამუშაოდ, პოლიტიკაში არსებობს ასეთი მიდგომები და ჩვენც ცაიტნოტურ მდგომარეობაში ვიმყოფებით.

ასევე, ძალიან სამუშაოა, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, განცხადებების იქით, მკვეთრ ქმედებებს ვერ ახორციელებენ. არადა, ჩვენი ოპოზიცია გამუდმებით

აკეთებს აპელაციას იმაზე, რომ ხელისუფლება დასავლეთთან ამ საკითხებზე შესაბამის მოთხოვნებს არ აყენებს.

— მაინც რა ბერკეტები არსებობს, თუნდაც მსოფლიო საზოგადოების მხრიდან, რომ რუსეთმა კონფლიქტურ რეგიონებთან ასე მჭიდრო თანამშრომლობაზე უარი თქვას?

— ბერკეტები არის რუსეთის წინააღმდეგ მასშტაბური სანქციების შემოღება. საუბედუროდ, ასეთი სახის სანქციების შემოღება, ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება. ზოგიერთ ქვეყანას უნდა რუსეთის მიმართ მასშტაბური სანქციების გამოყენება, ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში კი ამ სანქციებს მხარდაჭერა არა აქვს.

არადა, სხვანაირად რუსეთის მორჯულება შეუძლებელია. გარედან ზეწოლის გარეშე ის არაფერს არ დათმობს.

ერთადერთი გამოსავალი ნავთობის ფასების ვარდნა და ეკონომიკური ბლოკადაა.

— ნავთობის ფასებიც კლებულობს და რუსეთის ეკონომიკაც დანგრევის პირასაა, მაგრამ პუტინი მაინც მყარად ინარჩუნებს პოზიციებს შინ და გარეთ.

— სანქციები თავის შედეგს აუცილებლად გამოიღებს, მაგრამ ეს პროცესი დროში გაიწელება. ცოტა მეტი დროა საჭირო, რომ რუსეთზე ეს ყოველივე შესაბამისად აისახოს.

— ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, სხვა რა გამოსავალი შეიძლება იყოს?

— ჩვენს შემთხვევაში ორი ვარიანტია. ერთი ის, რომ ყველა ერთად, ერიც და ბერიც უნდა გავერთიანდეთ ერთი იდეის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარშემო ან ეს საკითხი ცოტა ხნით გვერდზე გადავდოთ და ეკონომიკური განვითარების გზას დავადგეთ.

სანახევროდ ვერც ერთს გავაკეთებთ და ვერც მეორეს, ამიტომ ან ერთ მიზანს უნდა მივყვეთ ბოლომდე, ან მეორეს.

საზოგადოებამ თავად უნდა გადაწყვიტოს, ამ ორი მიზნიდან პირველ ორიენტირად რომელი აირჩიოს და იმ მიზნის განსახორციელებლად იბრძოლოს.

ესაუბრა ირაკლი ბერიშვილი

დედაიწიის ზურგზე



ინდოეთის ასამის შტაბში გოვიკაპის თავდასხმის მსხვერპლთა რიცხვი 76-მდე გაიზარდა


პოლიციის მონაცემებით, სეპარატისტებმა სულ ცოტა, ოთხი შეტევა მოაწყვეს ასამის შტატის ორ ოლქში — სონიტურსა და კოკრაჯხარში. ბოგეები ხალხს ესროდნენ ავტომატური იარაღიდან. ყველა დაღუპული ეკუთვნის ადგილობრივი ეთნიკურ ჯგუფს — ესენი ძირითადად სათემო ტომების წარმომადგენლები არიან, რომლებიც ინდოეთის აბორიგენულ მცხოვრებლებად ითვლებიან.

რუსეთის ფედერაციისა და სამხრეთი ოსეთის სპეცსამსახურებმა გაერთიანდებიან ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში



დოკუმენტის პროექტზე მუშაობა შეიძლება დამთავრდეს 2015 წლის იანვრამდეც კი, ხელშეკრულების ხელმოწერა გათვალისწინებულია თებერვლისთვის. ერთ-ერთი შემთავაზებული ვარიანტის თანახმად, ორი ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები გაერთიანდება, სახელმწიფო ჩინოვნიკების პენსიები და ხელფასები სამხრეთ ოსეთში გაიზარდება ჩრდილოეთი კავკასიის ფედერალური ოლქის დონეზე. რესპუბლიკის ხელმძღვანელის ადმინისტრაციაში საზგასმით აღნიშნავენ, რომ საუბარი საკავშირო სახელმწიფოზე არ მიმდინარეობს.

აშშ ერთ-ერთი ლაბორატორიაში ყურადღება არ მიაქცევს ეპოლას: ლაბორანტი და თანამშრომლებს დიდი რაოდენობა შეიძლება დასნებოვნდეს



ნიმუშები, რომლებიც შეიცავდნენ ებოლის ცოცხალ ვირუსს, შეცდომით გადაგზავნეს დაცული ლაბორატორიიდან სხვა მსგავს ობიექტზე, სადაც არ იცოდნენ თუ, კერძოდ, რა მასალა შემოვიდა მათთან. ამ ნიმუშთან მუშაობდა ერთ-ერთი ლაბორანტი, რომელსაც არაფერზე ეჭვი არ ეპარებოდა, იგი უნილბოდ იყო.

გილოცავთ შობას: ჰონკონგში სანტა-კლავსიო მანქანიდან ქუჩაში გადმოცვივდა მილიონობით დოლარი

ფურგონი ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე მოხვდა ავარიაში სადღის დროს. ავარიის შემდეგ ქუჩაში წარმოიქმნა უზარმაზარი საცობები: მძღოლები ხტებოდნენ მანქანებიდან, რომ რაც შეიძლება მეტი ფული აეკრიფათ.



© **ორი გულგული**

ნაწყვეტი გამოსასვლი ნიგნილან: „პანო სარაჯიშვილი – ლეგენდად ქსეული ორფეოსი“

მის არ უყვარს გაზაფხულის სუნთქვა და სურნელი, პირველი ყვავილები, მხურვალე მზის სხივები, ხასხასა ფოთლების შარიშური... ოპერის თეატრის წინ პროსპექტზე ღმერთკაცივით ყელმოღერებული, ნელი ნაბიჯით მოდიოდა უკვე მოხუცებული მგოსანი აკაკი წერეთელი. სარაჯიშვილმა სწრაფად დაიხედა მხრებზე, მკერდზე, თითქოს თავისი თავი შეათვალიერა, რათა სახელოვან პოეტს საკადრისად წარსდგომოდა.

– ჩვენს ბუღბუღს სალამი, – შორიდანვე გაუღიმა აკაკიმ მომღერალს. მორჩილი ბავშვივით შედგა მგოსნის წინ ზრდილი და თავაზიანი სარაჯიშვილი. პოეტის გამოწვდილ ხელს მარდად შეაგება თავისი მარჯვენა.

– მე თქვენი ლექსების ერთი უბრალო მომღერალი ვარ, – ღიმილით მიუგო ვანომ. – საქართველოს ნამდვილი ბუღბუღი კი თქვენ ბრძანდებით.

აკაკის ეამა საზოგადოების მიერ ესოდენ განებივრებული მომღერლისაგან ასეთი მოკრძალება. მკლავზე ხელი მოჰკიდა; თავი მისკენ გადახარა და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

– მაგრამ უკვე დაბერებული ბუღბუღი, ვარდასა და იას მონატრებული. ასე არ არის, ყმანვილო? – შეაგება თავისი შესანიშნავი ღიმილი მომღერალს. – მთელი ღამის განმავლობაში ნაგროვები ვარდის წვენი ყოველ დილით, ალბათ, თქვენთან მოაქვთ ბუღბუღებს, არა? – ალერსით გააგრძელა მგოსანმა, – ღმერთმანი, როცა მღერით, ვარდის ფურცლის ხავერდი გაქვთ ხმაში. გუშინ გრიშაშვილის საღამოზე ძალიან ვი-სიამოვნე. სიჭაბუკის გიჟმაჟი დღეები გამახსენა თქვენმა სიმღერამ.

ვანოს შავგვრემანი სახე სიხარულმა გაუშუქა, ხუმრობა ხომ არ იყო, აკაკი წერეთელი აქებდა და ულოცავდა, მაღლობის ნიშნად გულზე ხელი მიიდო და თავი მდაბლად დახარა.

– ყველაფერი ეს, ისევ და ისევ თქვენი ლექსების წყალობით, – მორიდებით შეეპასუხა სარაჯიშვილი მგოსანს, – თქვენ ისე წერთ, რომ არ შეიძლება არ იმღერო, მარტო მე კი არა, მთელი საქართველო მღერის თქვენს ლექსებს. და კიდევ ერთი ლექსი მიყვარს ძალიან. მართალია, ის თქვენს კალამს არ ეკუთვნის, მაგრამ არ შეიძლება, რომ იგი თქვენც არ გიყვარდეთ. რამდენჯერ ვთხოვე ჩვენს კომპოზიტორებს, ამ ლექსს მუსიკა დაუწერონ, მაგრამ რატომღაც ჯერჯერობით ჩქამი არ ისმის. მე მაინც ჩემებურად გულში ხშირად ვლილინებ ხოლმე მას.

და ხმადაბლა, თითქოს მღერისო, ისე წამოიწყო:



„რას მრისხანებ ჩემო ბედის ვარსკვლავო, მაინც გეტრფი, თუმცა ხშირად მკლავო“.

უცებ შეჩერდა. მოხუც მგოსანს თვალებით მიუალერსა.

– შეგანუხეთ, დაგლალეთ, არა? – მოიბოდიშა სარაჯიშვილმა.

– მერე, მერე, ყმანვილო! – სთხოვა აკაკიმ. – ამ შუა ქუჩაზე ასე გულდაკოდილი გინდა დამტოვო?

ვანოს გაელიმა და ასე ოდნავ გაღიმებულ ბაგეზე ვერცხლის ზარივით განკრიალდა:

„მოციმციმდი, მოდი, გამოიდარე, შენგან ბნელი გული გამოიდარე“...

– ამ ღვთაებრივმა კრინმა, ალბათ, ბარათაშვილი საფლავში შესძრა. – თავისთვის ჩაილაპარაკა მგოსანმა, – გავა წლები და კომპოზიტორები ამ ლექსზე დაწერენ რომანსს. ალბათ, თქვენც იმღერებთ მას. ოღონდ მოვესწრები კი „ვარდის ფურცლის ხავერდით“ შერხეულ მის ნარნარს?

ორი დიდი ხელოვანის შესხედრა და საუბარი შეუმჩნეველი არ დარჩათ გამვლელ-გამომვლელთ, მათ მახლობლად თვალცქრიალა ქალიშვილებს. ეგრეთწოდებულ „სარაჯისტკებს“ ბლომად მოეყარათ თავი. აკაკიმ სარაჯიშვილი მათგან მიახედა და სიცილით უთხრა:

– ყმანვილო! ასე ჩუმად ჩაიბუღბუღე და ხედავ, რამდენი ღამაში მოციმციმდა. ეგ რომ შენებურად, ხმამაღლა შემოსძახო, მთელი საქართველოს კეკლუცები დაგეხვევიან თავზე. ალბათ, მუსიკასაც ამიტომ არ გინერენ კომპოზიტორები.

ვანომ გვერდზე გახედა ქალიშვილებს. მგოსნის ჭაღარის ნათელი მისდგომოდა ეშხით საცხე მის სახეს. აკაკის ქებით შემკული, ღამაზმანებით გარშემორტყმული, თვითონაც ვარსკვლავივით ბრწყინავდა. ამ წუთში იგი ისეთი მომხიბლავი იყო, რომ სამშობლოს საკურთხეველზე სიყვარულით დამდნარი მოხუცი მგოსნის გულს კი არა, მტერსაც კი მოინადირებდა.

– ამ დღეებში მე და გრიშაშვილი, – თითქოს რაღაც უნდა ახაროსო, ისე თქვა ვანომ, – თქვენს ჭიათურაში მივდივართ, სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ კონცერტს გმართავთ.

მგოსანი თვალმოუშორებლივ შესცქეროდა მოხდენილ ვაჟკაცს. იდგა იგი მხრებგაშლილი, შავი ხვეული თმა გაზაფხულის ანც ნიაფს აქეთ-იქით მიმოვფანტა.

– სიამოვნებით მოგისმენთ, ყმანვილო, არა მარტო ჩემი ხალხი, არამედ ჩემი სამშობლო მთებიც. ვწუხვარ, რომ იქ არ ვიქნები და ვერ დაგესწრებით, აბა თქვენ იცით, ახალგაზრდებო, დამიტკებთ მწარე სიბერე! – ღიმილით უთხრა მგოსანმა, გამოემშვიდობა და ნელი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას.

ქანდაკებასავით იდგა სარაჯიშვილი იმავე ადგილას და თვალს არ აშორებდა მოხუც მგოსანს. ოპერის თეატრს არც კი იყო გაშორებული, რომ მგოსანი მოულოდნელად შემობრუნდა, ერთხელ კიდევ გამოხედა ახალგაზრდა მომღერალს, გაუღიმა ისე როგორც საყვარელ შვილს გაუღიმებს მამა და თავისებურად, აკაკისებურად ნელი ნაბიჯით განაგრძო გზა.

გელა ქოძიაშვილი,

კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, ეკონომიკის დოქტორი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ფონდის ვიცე-პრეზიდენტი

© **სახელმწიფო და რელიგია**

ზიანის ანაზღაურება თუ დაფინანსება?

რელიგიური კონფესიების დაფინანსების სადავო მოდელი

ოთხი რელიგიური კონფესია სახელმწიფოსგან გაორმაგებულ დაფინანსებას მიიღებს, განაცხადა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელმა ზაზა ვაშაყმაძემ მთავრობის კანცელარიაში პრემიერ-მინისტრთან შესხედრისას. შესხედრას სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, კათოლიკური ეკლესიის, მუსლიმთა და იუდეველთა თემების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ზაზა ვაშაყმაძის თქმით, შესაძლოა, მომავალში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ამ კონფესიებს კიდევ რამდენიმე დამატოს. არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებას რელიგიური თემების მიმართ უთანასწორო და-მოკიდებულებაში ადანაშაულებენ.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოთხი რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებთან შესხედრისას დაინტერესდა, რით დასრულდა კონფესიების დაფინანსების პროცესი და ანგარიშის წარდგენა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელს ზაზა ვაშაყმაძეს სთხოვა. პასუხად ზაზა ვაშაყმაძემ განაცხადა, რომ მომავალი წლიდან სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, კათოლიკური ეკლესიის, მუსლიმთა და იუდეველთა თემები გაორმაგებული თანხით დაფინანსდებიან. წელს ეს ოთხი კონფესია სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 მილიონ-ნახევარი ლარით დაფინანსდა.



ზაზა ვაშაყმაძე არ გამორიცხავს, რომ ოთხ კონფესიას, რომელთაც სახელმწიფო აფინანსებს, კიდევ რამდენიმე კონფესია დაემატოს. მისი სიტყვებით, თანხა ძირითადად მოხმარდება კულტურულ, საქველმოქმედო, სარესტავრაციო, საგანმანათლებლო, რელიგიურ მსახურებას.

პრემიერთან შესხედრიდან გაშლის შემდეგ საუბრისას საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მუფთმა ბეგლარ ქამაშიძემ იმედი გამოთქვა, რომ სახელმწიფოსა და რელიგიურ კონფესიებს შორის ურთიერთობა კონფესიების სასარგებლოდ გადაწყდება და საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული მატერიალური ზიანის კომპენსირება სამართლიანად მოხდება.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ წარმომადგენლის თამთა მიქელაძის თქმით, საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიისა და ამ ოთხი რელიგიური კონფესიის დაფინანსების საკითხი არის ძალიან პრობლემური და ის არ თავსდება სეკულარული სახელმწიფოს კონცეფციაში, ვინაიდან პირდაპირ ბიუჯეტიდან ხდება რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება და ის ხმარდება რელიგიურ მიზნებს და ეს დებულება, რომლის მიხედვითაც საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანის კომპენსაცია ხდება, რეალურად არ ჰგავს კომპენსაცი-

ას, ვინაიდან სახელმწიფოს არ დაუთვლია ზიანის ოდენობა და, ამასთან, არც სხვა ობიექტური და სამართლიანი კრიტერიუმები აქვს, რომლის თანახმადაც ზიანის მოცულობა გაირკვეოდა. შესაბამისად, სახელმწიფოს თავისი შესხედულებისამებრ შეუძლია განსაზღვროს ამ კონფესიებისთვის მისაცემი თანხები და ბიუჯეტის სახსრები დახარჯოს ისე, რომ არ გაითვალისწინოს სახელმწიფოს საჯარო ინტერესები.

თამთა მიქელაძის თქმით, დაფინანსების ეს მოდელი სახელმწიფოს აძლევს რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაში ჩარევის, თვითნებობისა და, რიგ შემთხვევებში, მათი ლოიალობის მოპოვების შესაძლებლობას, რადგანაც დაფინანსების მიღება მათ გარკვეულად პოლიტიკურად ანგარიშვალდებულს ხდის და დადგენილებით განსაზღვრული ოთხი კონფესიაც არ არის სრული რაოდენობა იმ

რელიგიური კონფესიებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროს დაზარალებულნი, თუმცა, სახელმწიფო მათ რეგულაციების გარეშე ტოვებს, რის გამოც, თამთა მიქელაძის თქმით, სახელმწიფოს მიდგომა დისკრიმინაციულია.

ევანგელურ-ბაბტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი რუსუდან გოცირიძე ოთხი რელიგიური კონფესიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ შარშან, როდესაც საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის კომპენსირებაზე დაინიშნა ლაპარაკი, ითქვა, რომ გაირკვეოდა, რომელ კონფესიას რა ზარალი მიაღდა და ამის საფუძველზე დაანგარიშდებოდა საჭიროებები. რუსუდან გოცირიძის სიტყვებით, გულუბრყვილოდ თუ შეეხედავთ, ისე ჩანს, რომ ხელისუფლების მხრიდან ეს არის თანასწორობისკენ გადადგმული ნაბიჯი, რომ თითქოს ერთის ნაცვლად ხუთ კონფესიას უწევს ფინანსურ მხარდაჭერას, თუმცა, რუსუდან გოცირიძის თქმით, ეს არის არა თანასწორობის, არამედ კონფესიებს შორის იერარქიის შექნის მცდელობა, რომ არსებობდეს მეტად პრივილეგირებული და ნაკლებად პრივილეგირებული კონფესიები.

ამ ეტაპზე რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ 3 მილიონ-ნახევარი ლარი გასცა ოთხი რელიგიური თემისათვის, სხვადასხვა ოდენობით. თანხების გადანაწილების დროს სააგენტო მხედველობაში იღებს მრევლის ოდენობას, სასულიერო პირებისა და საკულტო ნაგებობების ოდენობას და, „ადა-მიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ წარმომადგენლის თამთა მიქელაძის თქმით, თავად ეს კრიტერიუმები მიუთითებს იმაზე, რომ ამ თანხის გამოყოფა ზიანის ანაზღაურებასთან კავშირში არ არის.

ნინო ხარაძე,
რაიო „თაშისუფლება“

კალათბურთი



სპიტიზვილის 18 ქულა და 16 მოხსნა. „ჩემპიონის“ პირველი გამარჯვება


ნიკოლოზ სპიტიზვილის „ჩემპიონის“ ლიბანის საკალათბურთო ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმა, ხოლო ქართველი ფორვარდი საკუთარ გუნდში ისევ საუკეთესო იყო. „ჩემპიონის“ „პოპოსი“ 78:72 დაამარცხა, ცეცხლშეცდმა კი 38 წუთში 18 ქულა, 16 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. ნიკოლოზმა 5-დან 2-ორქულიანი, 5-დან 3-სამქულიანი და 8-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 7-ჯერ დაკარგა, 3 პერსონალუ-

რი ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 5-ჯერ დაჯარიმდნენ. ქართველი კალათბურთელის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 24-ს უწია და ასეთივე მაჩვენებელი ჰქონდა სათადარიგო ელი გალებსაც, რომელმაც 18 ქულა მიითვალა. „ჩემპიონის“ 1 მოგება და 3 მარცხი აქვს და 8-გუნდიან ლიგაში მე-6 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩი კი 4 იანვარს სტუმრად „ტადამონთან“ ელის.

მიტალი ჯაფარიძე

ფეხბურთი

ნომერი: ფეხბურთელები მესი და რონალდუ არიან



ბარმანის ნაკრების და მიუნხენის „ბაიერნის“ გოლკიპერმა მანუელ ნოიერმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ მასთან შედარებით „ოქროს ბურთის“ მოგების მეტი შანსი კრიშტიანუ რონალდუს და ლიონელ მესის აქვთ.

„რა თქმა უნდა, მოხარული ვარ და მემამყება, რომ მოვხვდი საუკეთესოთა სამეულში. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ამ ჯილდოს მოგების გაცილებით მეტი შანსი მესის და რონალდუს აქვთ“, — განაცხადა ნოიერმა.

მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა 2015 წლის 12 იანვარს გამოვლინდება. აღნიშნულ ტიტულზე ნომინირებულნი რონალდუ, ნოიერი და მესი არიან.

ზადრი იაშვილი

ტრადიცია

შობის ორიგინალურად აღნიშვნა

ბარმანის მეორე ბუნდესლიგის კლუბ ბერლინის „უნიონის“ გულშემატკივრებმა შობის მოახლოება ორიგინალურ გარემოში აღნიშნეს. ყოველი წლის 23 დეკემბერს გულშემატკივრები „უნიონის“ საშინაო არენა „სტადიონ ან დერ ალტენ ფორსტერეიზე“ იკრებიებიან, სადაც იმართება კონცერტი და მომღერლები სა-

შობაო თემატიკის სიმღერებს მღერიან. აღნიშნულ ტრადიციას სათავე 1989 წელს დაედო და მას შემდეგ ღონისძიება ყოველწლიურად იმართება. იგი „უნიონის“ გულშემატკივრებმა არც წლეულს დაარღვიეს და გამართულ საღამოს 27 500 ფანი დაესწრო.

გიორგი შოთაძე



ინტერნეტიდან

გეგავთმოყვარეობა

ბავშრი ცნობილი სპორტსმენი უარს არ ამბობს ელიტარული მეძავეების მომსახურებაზე და სწორედ ამიტომ, ასეთი განავადებები ხშირად ექცევა ბულვარული მედიის ყურადღების ცენტრში. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი, როგორც წესი, დიდი სკანდალით მთავრდება ხოლმე. როგორც ინგლისურ გაზეთ „სანის“ ენამ-

წარე მიმოხილველები წერენ, ელიტარულ მეძავეთა სიყვარულით განსაკუთრებით ლონდონის „ჩელსის“ ფეხბურთელები გამოირჩევიან და მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტერი მწვრთნელი, პორტუგალიელი ჟოზე მოურინიო მსგავსი „გაფრენის“ მოძულეა, ფეხბურთელები მეძავეებთან ხვანცაღს მაინც ასერხებენ ხოლმე.



მეძავეები ასევე ნამეტანი ყვარებიან ლონდონის მეორე კლუბის, „არსენალის“ ფეხბურთელებს და ლამის ყველა წარმატებული მატჩის შემდეგ „არსენალის“ რამდენიმე ფეხბურთელი პერიოდულად დაძვრება ქალებში. ეს ყველაფერი ლონდონელთა ფრანგ მწვრთნელს არსენ ვენგერსაც სცოდნია, მაგრამ მოპურთაღთა ოღრამობებზე თვალს ხუჭავს. სხვა რა გზა აქვს...

როსტომ რაჭველიშვილი

მინი-ფეხბურთი

სარბიელზე ექიმები არიან

მედიკოსთა რვა გუნდი მონაწილეობდა თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელების ოთარ გაბელიასა და დავით მუჯირის სახელობის წინასაახალწლო ტურნირში, რომელსაც ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელოვნურსაფარიანმა სარბიელმა უმასპინძლა (ორგანიზატორი და მთავარი მსაჯი საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე ვახტანგ ბაქანიძე, თსუ სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი ზაურ ფხალაძე).

გაუნწყებთ ექიმთა ასპარეზობის გადამწყვეტი შეხვედრების შედეგებს. ნახევარფინალი. „ავერსი“ — გეოფარმა — ქირურგიის ეროვნული ცენტრი 6:3, იაშვილის



სახელობის საავადმყოფო — „პსპ“ ნიუ ჰოსპიტალსი 3:0.

ფინალი. იაშვილის სახელობის საავადმყოფო (დირექტორი შო-

თა ჯოგლიძე) — „ავერსი გეოფარმა“ (წარმომადგენელი დავით კობაიძე) 5:3. აღსანიშნავია, რომ ფინალისტები, ისევე როგორც შრო-

მის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გუნდი, სწორედ თსუ-ს სტადიონზე ვარჯიშობენ. მესამე ადგილი ქირურგიის ეროვნულმა ცენტრმა დაიკავა.

ინდივიდუალური პრიზების მფლობელები გახდნენ: მეკარე — რევაზ მანჯგალაძე (იაშვილის სახელობის საავადმყოფო), ბომბარდირი — პაატა მალრაძე — 9 გოლი („ავერსი გეოფარმა“), ტურნირის საუკეთესო მოთამაშე — ზურაბ ძაგანია (იაშვილის სახელობის საავადმყოფო).

ზაურ ფხალაძე

ჩოგბურთი

ანა ივანოვიჩი კიდევ ერთი დიდი სლემის მოგებაზე მოხერხდა

მსოფლიო რეიტინგის მე-5 ნომერმა სერბმა ანა ივანოვიჩმა The sport review-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ის კიდევ ერთი დიდი სლემის მოგებაზე იცნებოდა.

„ჩემი თამაში უფრო მრავალფეროვანი უნდა გახდეს, ბადესთან შირად უნდა გავიდე. 2008-ში პირველი ჩოგანი ვიყავი, ასლაც მაქვს შანსი, მაგრამ ამას დიდი შრომა სჭირდება. რა თქმა უნდა, კიდევ ერთი დიდი სლემის მოგება, — ეს ჩემი ოცნებაა. ჩემი მიზანია დიდი სლემის ტურნირებზე კარგად ვითამაშო. მიუხედავად იმისა, რომ წელი მესუთე პოზი-



ციაზე დავამთავრე, დიდი სლემის ტურნირებზე ჩემი გამოსვლით უკმაყოფილო ვარ. თუმცა, მე უძლიერეს ჩოგბურთელებს მოვუგე, მაგალითად: უილიამსს, მარია შარაპოვას, სიმონა ჰალეპს. ეს ყველაფერი იმის იმედს მისახავს, რომ მომავალ სეზონში კიდევ ერთ დიდი სლემის ტურნირს მოვიგებ“, — განაცხადა ანა ივანოვიჩმა.

ივანოვიჩმა 2008 წელს „როლან გაროსი“ მოიგო. ანასთვის ეს ჯერჯერობით ერთადერთი დიდი სლემის მოგებული ტურნირია.

კოზა კოზახიძე


ავტოსპორტი

„ფერარი“ ახალ ბოლიდს იანვრის ბოლოს გვიჩვენებს

„პროჰეპტ 666“ — ჯერჯერობით ასე ჰქვია „ფერარის“ ახალ ბოლიდს, რომლის პრემიერაც იანვრის ბოლოს გაიმართება. წარდგენა ინტერნეტით მოხდება. როგორც გუნდის ახალმა შეფმა მალურციო არივაბენემ განაცხადა, ავტომობილს უკვე გავლილი აქვს საავადმყოფო ქრემ ტესტები და წინასასეზონო ტესტებისთვის ემზადება.

ტესტები სერესის (ესპანეთი) ავტოდრომზე 1 თებერვალს დაიწყება. „ფერარი“ ტესტებში პირველივე დღიდან ჩაერთვება. იტალიურ გამოცემა „ომნიკორსესთან“ საუბრისას არივაბენეს ავტომობილის ჩვენების ზუსტი დრო არ უთქვამს. „მიზეზი მარტივია — ინჟინრებმა მითხრეს, რომ წინა წლების გამოცდილებით პრეზენტაციისთვის მზადებას სამი დღე მაინც სჭირდება. ეს ძალიან ბევრია იმ ეტაპზე, როცა უმჯობესი იქნება, თუ ყველა მანქანის მომზადებით დაკავდება და არა პრეზენტაციით“, — ამბობს არივაბენე.

მანუარ გიორგაძე



დედაბაღი

მთავარი ნაძვის ხე გუშინ აინთო!

თბილისის მერია საახალწლო კულტურულ-გასართობი ღონისძიებების ნუსხას გვთავაზობს

თბილისის მერია საახალწლო კულტურულ-გასართობი ღონისძიებების ნუსხას აქვეყნებს. საზეიმო ღონისძიებები 25 დეკემბერს გაიხსნა და 7 იანვრამდე გასტანს. მთავარი ნაძვის ხე კი თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გუშინ საღამოს აანთო..

● **საშობაო ბაზრობის გახსნა** – რიყის პარკი. 25 დეკემბრიდან 7 იანვრამდე გასტანს. რიყის პარკში მისულ სტუმრებს საშუალება ექნებათ, დააგემოვნონ სხვადასხვა ტკბილეული და გლინტვეინი, ასევე შეიძინონ საახალწლო აქსესუარები;

● **რიყის პარკის გახსნა** – დღეიდან 7 იანვრის ჩათვლით რიყის პარკის სტუმრებს საშუალება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ სპორტულ, კულტურულ და შემეცნებით ღონისძიებებში;

● **საბავშვო კონცერტები** – რიყის პარკი. 31 დეკემბერი, 1, 7 იანვარი. 12:00 საათიდან 18:00 საათამდე. რიყის პარკში მდებარე ამფითეატრში სახელოვნებო სკოლების მოსწავლეების კონცერტები გაიმართება;



● **პონების ვოლიერი** – 25 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით რიყის პარკში მისულ სტუმრებს პონები უმასპინძლებენ;

● **ნაძვის ხეების ფესტივალი** – დღეიდან 7 იანვრის ჩათვლით ერეკლე II-ს ქუჩაზე ნაძვის ხეების ფესტივალი გაიმართება;

● **თოვლის ბაბუა მთანმინდის პარკში** – 27 დეკემბერს 11 საათზე თოვლის ბაბუა მთანმინდის პარკს ეწვევა და იქ 7 იანვრის ჩათვლით დარჩება;

● **საახალწლო გალა კონცერტი** – 31 დეკემბერს საღამოს 10 საათზე ევროპის მოედანზე საახალწლო გალა კონცერტი გაიმართება;

● **ალილო** – 7 იანვარს თბილისში საშობაო მსვლელობა „ალილო“ გაიმართება;

სპორტულ-გასართობი ღონისძიებები

● **ველომარათონი** – 25 დეკემბრიდან დაიწყო და 30 დეკემბრის ჩათვლით გასტანს: თოვლის ბაბუის ფორმაში ჩაცმული ადამიანები ველოსიპედებით მოივლიან გარეუბნებს და ბავშვებს დაურიგებენ ტკბილეულს;

● **პოკეი** – 29 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით გასტანს: ყოველდღე რიყის პარკში 13,14, და 15 საათზე გამართავენ თამაშს;

● **ფიგურული სრილი** – რიყის პარკში 29 დეკემბრიდან დაიწყება და გასტანს 7 იანვრის ჩათვლით. წარმოდგენებს გამართავენ 12, 15 და 17 საათზე, ხო-



ლო დანარჩენ დროს მოქალაქეებსაც ექნებათ შესაძლებლობა ყინულის მოედნით ისარგებლონ;

● **პარკური** – რიყის პარკში 25 დეკემბრიდან დაიწყება და გაგრძელდება 7 იანვრის ჩათვლით, წარმოდგენას გამართავენ 13, 15 და 17 საათზე;

● **კალათბურთი** – 7 იანვრის ჩათვლით რიყის პარკში ექსტრემალური სპორტის სახეობის წარმომადგენლები გამართავენ „ჩატენეების“ შოუს;

● **ბატუტი** – რიყის პარკში 26 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით, სპორტსმენები გამართავენ საჩვენებელ გამოსვლებს;

● **მხატვრული ტანვარჯიში** – რიყის პარკში 26 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით გამართავენ წარმოდგენებს;

● **სპორტული ტანვარჯიში** – რიყის პარკში 26 დეკემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით გამართავენ წარმოდგენებს;

● **თოვლის ბაბუა და ელფები** – რიყის პარკში 7 იანვრის ჩათვლით უმასპინძლებენ პარკში მოსულ სტუმრებს;

● **მხიარული სტარტები** – რიყის პარკში 25 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით მოაწყობენ სხვადასხვა გასართობ ღონისძიებებს, სადაც მოსულ სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ღონისძიებაში;

● **ილუზიონისტები** – რიყის პარკში 7 იანვრის ჩათვლით გამართავენ სხვადასხვა წარმოდგენებს;

● **მოძრაობის თეატრი** – რიყის პარკში 26,30 და



31 დეკემბერს და 1, 3 და 7 იანვარს გამართავენ სხვადასხვა სახის წარმოდგენებს;

● **სანტა-კლაუსი და გრინჩი** – რიყის პარკში 28 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით გამართავენ სხვადასხვა სახის FLASH MOB-ს.

თეონა რამაზაშვილი
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი სწავლული ისტორიკოსი, აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

იოსებ ჩიქავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 27.XII. 14 სთ. ზუგდიდი, ორბელიანის ქ.№6.

ვაჟა აბაკელია, ბონდო ჯიქია, კლიმენტი ჯანჯღავა, გურამ გუნავა, გენო კალანდია, დიმა ჯაიანი, დილარ ივარდავა, ოთარ ჩითანავა, ვალერი ქანტურია, ჯემალ კვირტია, ზურაბ გეგეჭკორი, ნუგზარ იზორია, კახა არდია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, ქვემარტი მამულიშვილი, დიდი ოჯახისა და სამეგობროს ლიდერი



იოსებ ლაპრანბის ძე

ჩიქავა

და უსამძიმრებენ განსვენებულის უახლოეს ნათესავებსა და ახლობლებს.

რეზო ფაშულია, მოკოდი აბშილავა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ღირსეული ადამიანი

მიხეილ თაღოს ძე თოღა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნიკა, ლეილა ცხაკაიები ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყებიან მძახლის, შესანიშნავი პიროვნების

ქეთევან ლაქვიშვილ-კუკულაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას გამოთქვამენ ყველა მისი ახლობლისადმი ამ დიდი დანაკლისის გამო.

ინფორმაცია

საზღვარზე პრაქტიკული ოქრო შემოკონდა

საბაჟო გამშვებ პუნქტ „ნითელ ხიდაზე“ აზერბაიჯანის მოქალაქეები 555,76 გრამი ოქროს ნაკეთობების დეკლარირების გარეშე შემოტანას ცდილობდნენ.

ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

გნ-ისა და სნ-ის ბარგის დათვლიერებისას, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები, რომელთა საბაჟო ღირებულებამ 23763,24 ლარი შეადგინა.

საქმე შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს.



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი (№802-GE) სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის (ASP) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების გორის მუნიციპალიტეტში არსებული ძველი შერთულის სარწყავი სისტემის და „გარდიაგარდმო“ მაგისტრალური არხის I, სხვა რიგის გამანაწილებლების შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია სათავე ნაგებობის მოწყობით (უკაშხალო სათავე ნაგებობა), კონტრაქტით №:A/W/NCB-2015/01

ლოტი-1 სათავე ნაგებობა, დოუკერი და მაგისტრალი 3კ 0+00-დან 3კ 41+30-მდე
ლოტი-2 მაგისტრალური არხი 3კ 41+30-დან 3კ 95+30-მდე და კვანძი №1

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარ-

მოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. ლოტი-1-ის კონტრაქტების ხანგრძლივობაა 4 თვე. ლოტი-2-ის კონტრაქტების ხანგრძლივობაა 4 თვე.

2. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ 2014 წლის 26 დეკემბრიდან (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:

საზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22; ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 302004400;

გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მითითით სადეპოზიტო ქვე-კოდი – 4411.

3. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მისხდევით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2015 წლის 15 იანვრის 12:00 საათისა, როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

4. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი

თბილისი, მარშალ გელოვანის №6, მე-3 სართული, ოთახი №309
ელ.ფოსტა: l.durmishidze@moa.gov.ge
ტელ. +995 (32) 237-66-48.

© გუნება მკრანეა...

უთოვლობა სასტუმროები უზემოსავლოდ დატოვა

ზამთრის კურორტებზე ტურისტების სიმცირის უჩინოება



ბასსულ წლებთან შედარებით, წელს ზამთრის კურორტებზე სასტუმროს მფლობელები სეზონური შემოსავლისგან დიდ ხეირს არ ელიან. ვიზიტორების მცვეთი სიმცირე რამდენიმე მიზეზით აიხსნება, რაზეც სასტუმროს მფლობელები თავად საუბრობენ...

მარინა რამინაშვილი, გუდაურში მდებარე სასტუმრო „შელს“ მფლობელი:

– გასულ წლებთან შედარებით, გაცილებით ნაკლები დამსვენებელი გვყავს. ამ პრობლემაზე სასაუბროდ, რამდენიმე დღის წინ შევიკრიბეთ „გუდაურში“ არსებული სასტუმროების მფლობელები. დამსვენებელთა სიმცირეს

რამდენიმე მიზეზით ვხსნით, ყოველწლიურად, ტურისტების რაოდენობა წინა წელს თოვლის მოსვლა-არმოსვლით განისაზღვრება, ანუ, რადგან შარშან, ამ დროს თოვლი არ იყო, წელს ცოტა ადამიანი გვესტუმრა. სხვა მიზეზებიც არსებობს: ბოლო წლების განმავლობაში, უკრაინიდან ბევრი ტურისტი ჩამოდიოდა. ახლა იქ ომია და უკრაინელი ტურისტების რაოდენობაც მკვეთრად შემცირდა. იგივე შემთხვევა ვთქვა რუსეთზე, რუბლის გაუფასურებამ და ეკონომიკურმა კრიზისმა რუსეთიდან შემოსულ ტურისტებზეც იქონია გავლენა.

– თუ გვყავთ ისეთი კლიენტები,

ვინც საახალწლოდ დაჯავშნა ნომრები?

– თითქმის ყოველ წელს გვყავდა უცხოელი სტუმრები, ვინც ახალ წელს გუდაურში ხვდებოდა და ამისთვის ნომერს წინასწარ ჯავშნიდა. წელს მსგავსი ფაქტი არ ყოფილა. 2 იანვრიდან დაჯავშნილი აქვთ ადგილობრივებს.

– სერვისის ფასები შეინარჩუნეთ?

– მთელი 20%-ით გავაიფეთ... სხვა გამოსავალი არ გვქონდა. ჩემს სასტუმროში, ერთი პერსონის ერთი ლამით გაჩერება, 3-ჯერადი კვებით, 50-60 დოლარი ღირს – ეკვივალენტი ლარში. იმედია, თოვლი მოვა და ვითარება ახალი წლის შემდეგ მაინც გამოსწორდება.

ნატა მელქაძე, საოჯახო სასტუმროს მფლობელი ბაკურიანში:


– შარშანდელთან შედარებით უკეთესი ვითარება ნამდვილად არ არის, რადგან თოვლი არ გვაქვს. ვიზიტორების ნაკლებობა რუსეთსა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებითაც აიხსნება. სხვა ქვეყნებიდან კი ამინდის გამო არ ჩამოდიან, უთოვლობა ძალიან გვიშლის ხელს. ახალ წლამდე პაუზა გვაქვს, იანვრის შუა რიცხვებიდან კი ბინები დაჯავშნილია. ახალი წლიდან სერვისის ფასი, როგორც წესი იზრდება. ნომერი 3-ჯერადი კვებით 60 დოლარიდან ქირავდება. კერძო ბინებში

© მკურნალი წინადაგი

ფანჯრის ტკივილი გაწუხებთ?

თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT“-ი ფენების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური თვისებების მქონე სპეციალურ წინადაგებებს გთავაზობთ.

ყველა ტიპის დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექცი-



ით გამონეული ფენის დაავადებათა მკურნალობისას საგანგებო წინადაგებები შეუცვლელი და უუბარი საშუალებაა! ასეთი წინადაგებები მისწრებაა იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით ფეხზე დგომა ან გადაადგილება უწევს, აქვს კოჟრები, სოკოვანი დაავადებები, ოფლიანობა და სპეციფიკური სუნის!

წინადაგებები ჩვეულებრივად ნელთბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტარება.


შისაქმნად დარეკით 299-62-77 (გ. ახვლედიანის 19), იკითხეთ კუპონი.

© ჩვენი კარავალინი

კანი აბრეშუმისა ხდება

მკრანის ქვეყნებში სულ უფრო პოპულარული ხდება ახალი კოსმეტოლოგიური პროცედურა – სახის მასაჟი თუთის აბრეშუმისფერის ჭიის პარკით.

პროცედურის შემქმნელები ამტკიცებენ, რომ იგი ბრწყინვალედ ასუფთავებს და აახალგაზრდავებს კანს. მასაჟისთვის იყენებენ ჭიის პარკებს, რომლებიც გადახლართული არიან აბრეშუმისფერის მუხლუხით. აბრეშუმის ძაფის სიგრძე მათში 1000-დან 1500-მეტრამდეა. ძაფი სამკუთხა გადაკვეთის წყალობით საუცხოოდ ამასაჟებს კანს და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. პროცედურის ეფექტი მიიღწევა არა მხოლოდ კანის მასირებით, არამედ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წყალობით, რომლებიც ჭიის პარკებშია. კერძოდ, სერინისა – ესაა განსაკუთრებული ნებოვანი ნივთიერება, რომელიც ძაფებს ანეებს ჭიის პარკში. იგი შეიცავს პროტეინებს კანისთვის სასარგებლო 18 ამინომჟავით. კანი ნამდვილად აბრეშუმისა ხდება.



მანსიკა, თუმსა...

ძალბის სულ უფრო და უფრო მეტი საყვარლები ჰყავთ, აჩვენა ბრიტანეთის ფართო სოციოლოგიურმა გამოკვლევამ, რომელიც ეწყო ათ წელიწადში ერთხელ. 1990-1991 წლებში მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა განცხადებებიდან გამოდიოდა, რომ სიცოცხლეში ისინი ინტიმურ კავშირში შედიოდნენ საშუალოდ ოთხ პარტნიორთან. 1999-2001 წლებში – ექვსთან. ამჟამად ყოველ ქალს ჰყავდა 8 საყვარელი. საშუალოდ, რასაკვირველია.

20 წლის განმავლობაში შემცირდა სექსუალური ცხოვრების დანყების ასაკიც. ამჟამინდელი ქალიშვილებიდან, რომლებსაც 16 წლამდე არ მიუღწევიათ, ქალწულობას დაემშვიდობა 29 პროცენტი, თითქმის ერთი მესამედი. ასეთივე „სენი“ სჭირდათ 18 პროცენტს მათი დედების თაობაში.

რეკლამა
29 9-62-77;
568 82-09-84.

© კადრი



© ცინცხალი ანეკდოტები

– მინდა, გავიგო სწრაფად გახდომის ხერხი. ვის ვკითხო?

– საკუთარ ჯიბეს.

* * *

– პროფესორო, შეიძლება, რომ დღეს ჩაგაბაროთ გამოცემა? – ეკითხება სტუდენტი გოგო.

– მზად ხართ?

– ყველაფრისთვის მზად ვარ.

– თქვენს ასაკში მეც ყველაფრისთვის ვიყავი მზად, ახლა კი, სამწუხაროდ, თქვენი პასუხის მოსალოდნელად ვარ მზად.

* * *

– ის საუკეთესო



სო წელიწადი იყო! კარგია, რომ იგი ერთად გავატარეთ.

– კი, მაგრამ შენ ვინა ხარ საერთოდ?

* * *

– მზაბაბი, მაგრამ არ შეგიძლიათ, რომ სხვა მხარეს გამოუშვათ ბოლი? – ეუბნება კაფეში კაცი ქალს.

– მე რომ სხვა მხრიდან შემეძლოს ბოლის გამოშვება, ცირკში გამოვიდოდი.

* * *

შპრბინის მთავრობაში ყველამ იცის, როგორ უნდა მოქმედებდეს რუსეთის მთავრობა, რუსეთის მთავრობაში იცის, როგორ უნდა მოქმედებდეს უკრაინის მთავრობა... იქნებ მათ ადგილები გაცვალონ?

<p>ავტორთა საზღვრადღეობა</p> <p>რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.</p>	<p>საქართველოს რესპუბლიკა</p> <p>SAKARTVELOS RESPUBLIKA</p> <p>გ. ახვლედიანის (მთავარი) პაროქსიასა) ქ. 19</p> <p>ინდექსი 66434</p>	<p>გამომცემლობა: შპს „თანადგომა“-ი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79)</p> <p>შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)</p> <p>uac(უაქ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851</p> <p>9 772233 1385001</p>	<p>მთავარი რედაქტორი</p> <p>ალექს ახვლედიანი</p> <p>299-62-77; 599 56-81-86</p>	<p>პასუხისმგებელი რედაქტორები:</p> <p>გურამ გომიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ქოშულია 599 36-00-35</p> <p>პასუხისმგებელი მდივანი</p> <p>გამუშა გუბაძე 514 33-33-24</p>
--	--	--	---	---